



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„გამტკვება“

ეფუძნიანობის აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი

თავადი წინაღაშეიღი

„30 მარტი“ 2013 წელი  
ნომ. № 1

## პროფესიული განათლება საქართველოში

მიმდინარე რეფორმები და გამოწვევები

ეფუძნიანობის აუდიტის ანგარიში 0166/00

2013 წ.

## სარჩევი

შემოკლებანი.....	III
შემაჯამებელი მიმოხილვა .....	IV
1. შესავალი.....	1
1.1 აუდიტის მოტივაცია.....	2
1.2 აუდიტის მიზანი და კითხვები.....	3
1.3 შეფასების კრიტერიუმები.....	3
1.4 აუდიტის ფარგლები და მეთოდები.....	4
1.5 აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა .....	5
1.6 ანგარიშის სტრუქტურა .....	5
2. ზოგადი ინფორმაცია .....	7
3. კრიორიტული სასწავლო პროგრამების განსაზღვრა.....	13
3.1 კრიორიტული სასწავლო პროგრამების შეუსაბამობა შრომის ბაზართან.....	13
3.2 სტუდენტთა ადგილების ზღვრული იდენტების დაფინანსების წესის არარსებობა....	18
3.3 დასკვნა და რეკომენდაციები .....	19
4. სასწავლო პროცესების მართვა.....	21
4.1 პროფესიული სასწავლებლების ანგარიშგების სისტემის ნაკლოვანებები.....	22
4.2 სტანდარტების, კურიკულუმებისა და კრედიტების სისტემის ნაკლოვანებები .....	24
4.3 მასწავლებელთა პროფესიული განვითარება .....	27
4.4 კერძო სექტორთან არასაკმარისი კოორდინაცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა .....	28
4.4.1 კერძო სექტორთან არასაკმარისი კოორდინაცია .....	28
4.4.2 ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა .....	30
4.5 დასკვნა და რეკომენდაციები .....	31
5. პროფესიული განათლების დაფინანსება .....	33
გაუჩერით დაფინანსებისა და სარგებლობის წესი .....	33
5.1 დაფინანსების არაოპტიმალური გადანაწილება სასწავლებელებზე.....	34
5.2 ვაუჩერული დაფინანსების არსებული სისტემის ნაკლოვანებები .....	37
5.2.1 არაოპტიმალურად განსაზღვრული ვაუჩერის ოდენობა.....	37
5.2.2 ვაუჩერული დაფინანსების არარაციონალური წესის შედეგად გაწეული არაეფექტური ხარჯი .....	41

5.3 ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე გაწეული დაფინანსების არაპროდუქტიულობა	44
5.4 კერძო სასწავლებლების დაფინანსების სისტემის ნაკლოვანებები	46
5.5 დასკვნა და რეკომენდაციები	48
ბიბლიოგრაფია	53

## შემოკლებანი

**სამინისტრო** – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

**სსიპ** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

**ცენტრი** – სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

**სააგენტო** – სსიპ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

**პროფესიული საბჭო** – ეროვნული პროფესიული საბჭო;

**საბჭო** – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო;

**ETF** – European Training Foundation - ევროპული ტრენინგების ფონდი;

**GiZ** – Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება;

**IOM** – International Organization for Migration - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

**USAID** – US Agency for International Development - აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო;

**EQAVET** – European Quality Assurance in Vocational Education and Training - ევროპის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა;

**ECVET** – European Credit System for Vocational Education and Training - ევროპის პროფესიული განასაღების ერთიანი კრედიტების სისტემა;

**ENIC NARIC** – European Network of Information Centers; National Academic Recognition Information Centers - ევროპის საინფორმაციო ცენტრების გაერთიანება;

## შემაჯამებელი მიმოხილვა

უახლოეს პერიოდში გატარებული რეფორმებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროფესიული განასაღების სფეროში. უკანასკნელი პორტფოლიოს განმავლობაში აშენდა ახალი სასწავლებლები, შემუშავდა ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო და ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივი მექანიზმები. სამ დიდ ქალაქში გაიხსნა საინფორმაციო ცენტრები და ა.შ. აღნიშნული ცვლილებების ფონზე შოსალოდნელი იყო პროფესიული განათლების სისტემის ძირული გარდაქმნა, რასაც დადგებითი გაფლენა უნდა მოეხდინა უშუალესობის შემცირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური დაინტერესდა პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმებით და გადაწყვიტა შეესწავლა აღნიშნული რეფორმების პროდუქტიულობა და უფექტურობა; კერძოდ, შესწავლის იქნა, თუ რამდენად უწყობს სახელმწიფო ხელს გადამზადებული პროფესიული კადრების მისადაგებას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნასათან, როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესების მართვა, რა ფორმით ხდება სასწავლებლების დაფინანსება და ინფრასტრუქტურული განვითარება.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ განხორციელებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, შრომის ბაზარზე არსებული ინფორმაციის სიმწირის გამო სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს მის მიერვე განსაზღვრული პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების შესაბამისობას შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებას.

საქართველოში არსებული ანგარიშგების სისტემა რიგ ასპექტებში თავსებადია კომენტავენის პროცესთან და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან, თუმცა გარჩენია გარკვეული ხარვეზები და ნაკლოვანებები: არ არის შემუშავებული გარე შეფასების მეთოდოლოგია და ინდიკატორები, შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა არ არის უზრუნველყოფილი, არ არის დაწერებილი ზედამხედველობის სხვა დამატებითი მექანიზმები და ა.შ.

საქართველოში მოქმედი პროფესიული სტანდარტები განსხვავდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული სტანდარტებისაგან, რადგანაც არის მაღიან ზოგადი და არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას. გარდა ამისა, კრედიტების სისტემა არ არის სტანდარტიზებული და უნიფიცირებული, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის მოქნილობასა და თანაბარი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მიმდინარეობს უსისტემოდ, რაღაც ირიგინტირებულია ზოგად და არა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კერძო სექტორის ჩართულობა არ არის უზრუნველყოფილი.

არარაციონალურია დაფინანსების სისტემა - სასწავლებლებზე ორიგინალურია დაფინანსების სისტემა - სასწავლებლებზე გაცემული თანხები არ შეესაბამებოდა მათ რეალურ საჭიროებებს, ვაუჩერის გაცემის

სისტემის ნაკლოვანებებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების (თითქმის 2 მილიონი ლარი) არაეფექტურად გახარჯვა. სასწავლებელთა ინფრასტრუქტურული განვითარება მიმდინარეობს უსისტემოდ - რიგი სასწავლებლების რეაბილიტაცია არ გაჩინორციელებულა მათი დაარსების დღიდან, რის გამოც სასწავლებლებს არ ეძღვდათ საანაზარი განვითარების შესაძლებლობა.

წინამდებარე ანგარიში განხილულია საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა, ჩატარებული კვლევებისა და დასკვნების საფუძვლზე კი წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება მიზანშეწონილად მივვაჩნია არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

## 1. შესავალი

2004 წლიდან, ეკონომიკური რეფორმების შედეგად ქვეყნამ განიცადა საგრძნობი ეკონომიკური ზრდა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბიზნეს გარემო. განვითარების ტემპი შეფერხდა 2008 წელს, იმ პერიოდში განხორციელებული საომარი მოვლუნების ტუმცა, 2011 წელს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა კვლავ გაგრძელდა - მთლიანი შიდა პროდუქტი (შპ) გაიზარდა 7%-ით.<sup>1</sup>

მიუხედავად ამისა, ქვეყნა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას: უმუშევრობის მაღალი დონე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაბალი მაჩვენებელი, სოფლის მეურნეობის სფეროში მომუშავე თეოთ-დასაქმებულთა დაბალი პროდუქტიულობა, სიღარიბე (განსაკუთრებით რეგიონებში, სოფლად) და ა.შ.<sup>2</sup>

დაუსაქმებელთა დიდი რაოდენობის ერთ-ერთი მიზეზი გახლავა ქვეყნაში არსებული ე.წ. სტრუქტურული უმუშევრობა. რაც გულისხმობს მომზადების ბაზარზე არსებული პროფესიული უნარ-ჩვეულების შეუსაბამობას ბაზარზე მომზადარი ცელილებების შედეგად წარმოშობილ მოთხოვნებთან.<sup>3</sup> აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა წარმოშობილ განათლების განვითარება და კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადებაა. ამ მიზნის მისაღწევად მთავრობის მიერ 2007 წლიდან დაიწყო მომზადებაა. ამ მიზნის მისაღწევად მთავრობის მიერ 2007 წლიდან დაიწყო მნიშვნელოვანი და პოზიტიური რეფორმების გაუზრება, რომელშიც ჩაერთო ყველა დაინტერესებული მხარე, ე.წ. სოციალური პარტნიორი (მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა შორის აღსანიშნავია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ შეტანილი წვლილი - მატერიალური და ადამიანური რესურსებით დახმარება). რეფორმის დასაწყისში, 2007 წლის 28 მარტს, მიღებულ იქნა „პროფესიული განათლების შესახებ“<sup>4</sup>. დაახლოებით წელიწად ნახევარში, ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“<sup>5</sup>, დაახლოებით წელიწად ნახევარში, შესუსტავდა „პროფესიული განათლების განვითარების 2009-2012 წლების სტრატეგია“, აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებისას შემუშავდა ეროვნულ კვალიფიკაციათა აღნიშნული მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და პრიორიტეტების მხარდაჭერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის დაძლევაში; პროფესიული უნარების განვითარება, პროფესიული განათლების სიღარიბის დაძლევაში; პროფესიული განათლების გაზრდა და ა.შ. აღნიშნული სტრატეგიის მიზნების მისაღწევად, ხელმისაწედომობის გაზრდა და ა.შ. აღნიშნული სტრატეგიის მიზნების მისაღწევად,

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2011.

<sup>2</sup> European Training Foundation, Strategy for reform of vocational education and training (2009-2012), Report on main outputs and outstanding challenges, Georgia 2012.

<sup>3</sup> AEAG, dvv international, პროფესიული განათლება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები, 2006.

ასევე, შემუშავდა 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია მირითადი ამოცანები, ღონისძიებები და შეფასების ინდიკატორები.

## 1.1 აუდიტის მოტივაცია

გასული 5 წლის განმავლობაში, პროფესიული განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და განვითარებაზე მნიშვნელოვანი ოდენობის თანხებია განსაზღვრული. თანხები გაიხარჯა, როგორც ახალი სასწავლებლების მშენებლობაზე, ასევე არსებული სასწავლებლების რეაბილიტაციაზე. მაღალი იყო ანატურიენტთა აქტივობაც (2011-2012 წლებში პროფესიულ სასწავლებლებში ირიცხებოდა 22,5 ასასი სტუდენტი), რაც მოწმობს იმას, რომ საზოგადოების მხრიდან არის პროფესიული განათლების მიღების ინტერესი და მოთხოვნა.

აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებული წინასწარი შესწავლის შედეგებმა აჩვენა, რომ პროფესიული განათლების სფეროში გატარებული რეფორმებით არსებული პრობლემების აღმოფხვრა ვერ მოხერხდა. შრომის ბაზარი რიგ სფეროებში კვლავ განიცდის კვალიფიციური პროფესიული კადრების ნაკლებობას, მაშინ როცა, ზოგიერთ დარგში ბაზარზე საჭიროზე მეტი რაოდენობის სპეციალისტია. პროფესიულ კოლეჯებში ჩარიცხულ სტუდენტთა 20% ადარ აგრძელებს სწავლას და ირიცხება სასწავლებლიდან, დასაქმებული 33%-დან 1/10 საქმდება სხვა სფეროში, ხოლო დარჩენილ 47% ზე სამინისტრომ და პროფესიულმა სასწავლებლებსა ინფორმაცია ვერ მოგვაწოდეს. სწავლის დასაყინანსებლად გაცემული გრანტი/ეარჩერი კი იხარჯება არაეფექტურად. მნიშვნელოვანი იდენტობის თანხები გაისარჯა პროფესიული კოლეჯების რეაბილიტაციასა და ახალი სასწავლებლების მშენებლობაზე, თუმცა ზოგიერთ მათგანში სტუდენტთა დასწრებისა და მათი შემდგომი დასაქმების მაჩვენებელი დასაქმების საშუალო მაჩვენებელთან (23% - 2012წ.) შედარებით დაბალია.

პროფესიული განათლება არის უმუშევრობის პრობლემის აღმოფხვრის, სიღარიშის დამლევისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი წინა პირობა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა შესწავლა პროფესიული განათლების მართვის საკითხები, რათა გამოევლინა მისი მირითადი ნაკლოვანებები და თავისებურებები. საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ეფექტურობის კუთხით, რაც გულისხმობს სისტემის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების ეკონომიკურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტურიანობის პრინციპებას შესაბამისობის დადგნენას.

## 1.2 აუდიტის მიზანი და კითხვები

აუდიტის მიზანია მთავრობის მიერ პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობის შესწავლა, რომელიც მიმართულია პროფესიული უნარების განვითარებასა და ისეთი კვალიფიციური კადრების მომზადებაზე, რომელიც დააკმაყოფილებენ სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის გაზიარებაზე, რომელიც დააკმაყოფილებენ სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის გაზიარებაზე.<sup>4</sup> აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით, აუდიტის ჯგუფის მიერ გაზიარების მოთხოვნების აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით, აუდიტის ჯგუფის მიერ გაკეთდა დასკვნები და შესაბამის ორგანოებს მიეცათ რეეომენდაციები, რომელიც გაკეთდა დასკვნები და შესაბამის ორგანოებს მიეცათ რეეომენდაციები, რომელიც გაკეთდა დასკვნები და შესაბამის ორგანოებს მიეცათ რეეომენდაციების აღმოფხვრისა და პროფესიული განათლების მართვის სისტემის გაუმჯობესებისაკენ.

აუდიტის მიზანის მისაღწევად შემუშავებული აუდიტორული პროცედურებით სახელმწიფო აუდიტი სამსახურმა უკასუხა შემდეგ მირითად კითხვებს:

1. რამდენად პასუხობს სამინისტროს მიერ დადგენილი პრიორიტეტები შრომის გაზიარების მოთხოვნების.
2. რამდენად გამართული და ადეკვატურია სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებები.
3. რამდენად ეკონომიკურად და რაციონალურად ხდება პროფესიული განათლების სისტემის დაფინანსება.

## 1.3 შეფასების კრიტერიუმები

აუდიტის ჯგუფმა შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრისას გამოიყენა სხვადასხვა დოკუმენტაცია და ინფორმაცია:

1. კოპერატების დეკლარაცია, რომელიც შემუშავდა ევროპის 33 ქვეყნის მონაწილეობით პროფესიული განათლების სისტემატიზაციის, განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის. აღნიშნულ დეკლარაციაში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები კურიკულუმებისა და კრედიტების სისტემის, მასწავლებლთა პროფესიული გადამზადების, ხარისხის მართვის სისტემისა და პროფესიული განათლების მართვასთან დაკავშირებულ სხვა მირისად სკოლებზე.
2. საერთაშორისო პრაქტიკა, კერძოდ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემის მირითადი პრინციპები და მახასიათებლები, მაგალითად, სამინისტროსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის ანგარიშების სისტემის შესაფასებლად გამოყენებულია ესტონეთის პრაქტიკა; ინფორმაციის გავრცელებისა და ხელმისაწყდომობის სისტემა შედარებულია გერმანიასა და

<sup>4</sup> საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2007, ბუბლი 1.

- აესტრალიაში აპრობირებულ მქანიზმებთან; კრედიტებისა და კურივულუმების სისტემისთვის დაკავშირებით პარალელუბი გავლებულია ფინეთთან; და ა.შ.
3. საერთაშორისო და ქართული ორგანიზაციების (მათ შორის, ETF, GIZ, IOM, სტატისტიკის ეროვნული სამსახური) მიერ განხორციელებული კვლევები და ანგარიშები. აღნიშნული კვლევები მირითადად გამოყენებულია შრომის ზაზარზე არსებული მოსახლეობისა და სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მართებულობის შესადარებლად.
  4. პროფესიული განათლების განვითარების 2009-2012 წლებისა და 2013-2020 წლების სტრატეგიები, საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ და აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი სხვა წორმატიული აქტები და საერთაშორისო გაიდლაინები.

#### **1.4 აუდიტის ფარგლები და მეთოდები**

პროფესიული განათლების სისტემის ეფექტუანობის აუდიტის პერიოდი მოიცავს 2010 - 2012 წლებს. აუდიტის მიზნებისათვის ასევე გამოყენებულია აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში (2013 წლის I-III კვარტალი) აუდიტის ობიექტებისგან და ზოგადად დარგიდან მიღებული ინფორმაცია.

აუდიტის მირითად კითხვებზე პასუხების მოსაპოვებლად შემუშავდა აუდიტორული პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების სისტემასთან დაკავშირებული მირითადი საკითხები, როგორებიცა:

- პრიორიტეტული პროფესიებისა და სასწავლო პროგრამების დადგენა/განსაზღვრა სამინისტროს მიერ;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული განვითარება;
- დადგენილი სასწავლო პროგრამებისა და კურიკულურულების შემუშავება;
- პროფესიული განათლების ხარისხის მართვა;
- კერძო სექტორთან თანამშრომლობა;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული მხარისთვის;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება.

აღნიშნული საკითხების შესასწავლად აუდიტის ჯგუფმა გამოიყენა აუდიტის სხვადასხვა მეთოდი:

- პროფესიული განათლების სტრატეგიის, პროფესიული განათლების მართვაზე ვასუბისმგებელ ორგანოთა სამოქმედო გუგმებისა და ანგარიშების შესწავლა;
- პროფესიული განათლების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ანალიზი;
- ფინანსურის დოკუმენტაციის ანალიზი;

- გამოკითხვები, რომლებიც განხორციელდა აუდიტის ჯგუფის მიერ წინასწარ შედგენილი კითხვარების საფუძველზე;
- ინტერვიუები სამინისტროში, პროფესიული განათლების მართვაზე პასუხისმგებელ სისტემისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების დაწესებულებებში.

აუდიტის ჯგუფი პერიოდა კომუნიკაცია სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, რომლებიც ჩართული არიან პროფესიული განათლების სისტემის მართვის პროცესში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებან და ერთო სექტორის წარმომადგენლებონ.

## 1.5 აუდიტის მასშტაბის შეზღუდვა

სამინისტრო და მისი მმართველობის სფეროში შემავალი დაწესებულებები არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას, კურსდამთავრებულ სტუდენტთა დასაქმების თაობაზე (აქ უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს ევროკავშირის მხარდაჭერით, შემუშავდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია, რომლის პილოტირება დაგევმილია 2014 წლისათვის). გარდა ამისა, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კურსდამთავრებულთა საკმაოდ დიდი რაოდენობა თვითდასაქმინებლია. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი მტკიცებულებები პროფესიული სასწავლებლების საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად, რომლის მთავარი კრიტერიუმი კურსდამთავრებულთა შესაბამის სფეროში დასაქმებაა.

ასევე, აუდიტის პერიოდში შრომით ბაზარზე სახელმწიფოს მიერ არ ტარდებოდა კოორდინირებული ბაზრის კვლევის ღონისძიებები, რაც აუდიტის ჯგუფს მისცემდა საშუალებას ზუსტად შეეფასებინა ქვეყნის მასშტაბით ბაზარზე არსებული მოთხოვნა, მნიშვნელოვანი დარგები და ამ კუთხით მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ადევვატურობა.

## 1.6 ანგარიშის სტრუქტურა

ასგარიში თავდაპირყვალად წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია პროფესიული განათლების სისტემის მარეგულირებელი ნორმების, პასუხისმგებელი ორგანოებისა და დაფინანსების სისტემის შესახებ. აგრეთვე, მოცემულია პროფესიული განათლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სახეები.

ანგარიში პირველ საეპთხად განხილულია სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული სასწავლო პროცესებისა და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისობის საკითხი.

შემდგომი თავი ეორობა სასწავლო პროცესების ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ: პროფესიული სასწავლებლების ანგარიშება, პროფესიული სტანდარტები, კრედიტებისა და კურიკულურიების სისტემა, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება, კერძო სექტორთან თანამშრომლობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

დასკვნით ნაწილში განხილულია პროფესიული განათლების სისტემის დაფინანსებისა და სასწავლებელთა ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხი.

## 2. ზოგადი ინფორმაცია

### სამართლებრივი ბაზა

პროფესიული განათლების სფეროს მარეგულირებელ წორტებს შევხვდებით რიგ საკანონმდებლო აქტებსა<sup>5</sup> და საერთაშორისო ხელშეკრულებებში, თუმცა პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წესი და პირობები, მართვისა და დაფინანსების პრინციპები, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტატუსი და აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი საკისახეები განსაზღვრულია საქართველოს კანონში პროფესიული განათლების შესახებ.

### პროფესიული განათლების სახეები და საფეხურები

მოქმედი კანონმდებლობა იცნობს პროფესიული განათლების ორ სახეს: ფორმალურსა და არაფორმალურს.<sup>6</sup> ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ოცნების სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით.

არაფორმალურად ითვლება პროფესიული განათლება, რომელიც პირზე მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად. მისი სახელმწიფო აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას. არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების აღიარება დაუმცვებელია პროფესიული განათლების IV და V საფეხურების ფარგლებში.

პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს, რომლებიც განისაზღვრება სწავლის შედეგების შესაბამისად:

- I საფეხურის კვალიფიკაციის ჩველობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი;
- II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი;
- III საფეხურის კვალიფიკაციის ჩველობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შესრულოს თავისი მოვალეობები და ადგიკატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად;

<sup>5</sup> საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004; საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005; საქართველოს შრომის კოდექსი, 2010; სხვა ნორმატიული აქტები.

<sup>6</sup> პროფესიული განათლება შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური.

- IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმომობილი პრობლემების გადასწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარეკული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე;
- V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვების სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.


### პროფესიული განათლების მართვა

პროფესიული განათლების სისტემის მმართველი ორგანოები არიან:

- საქართველოს მთავრობა - განისაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას, რეგულირებად პროფესიებს, ადგის პროფესიული განათლების დაფინანსების წესს, საჯარო პროფესიულ სასწავლებლებში ადგენს საფასურის ოდენობას;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას, აფენებსა და ზედამხედველობას ახორციელებს საჯარო პროფესიულ სასწავლებლებზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების, მიზნით აფენებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, ადგენს პროფესიული განათლების აღიარების წესებსა და პირობებს და ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი - ახორციელებს პროფესიულ სასწავლებელთა აკრედიტაციასა და ავტორიზაციას, უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლს, ადგენს კვალიფიკაციათა ჩარჩოს, განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტებს და ა.შ.;
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი - ახორციელებს მასწავლებელთა გადამზადებისა და სერტიფიცირების, ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის;
- სსიპ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო - ახორციელებს პროფესიულ სასწავლებელთა რეაბილიტაციას, ინფრასტრუქტურის განვითარების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღჭურვას.
- ეროვნული პროფესიული სამზო - პროფესიული განათლების სფეროში დაინტერესებული მხარეების - სახელმწიფოს, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორის საქმიანობის კოორდინაციის განხორციელება, კერძოდ, იყო:

- შეიმუშავებს/ამზადებს წინადადებებსა და დასკვრებს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიასთან და პროფესიული განათლების განვითარების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით;
  - ამზადებს წინადადებებს პროფესიული განათლების სფეროში სხვადასხვა კომისიისა და სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების თაობაზე;
  - საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოითხოვს თავისი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციას;
  - ქმნის სამუშაო ჯგუფებს და ოწვევს დამოუკიდებელ ექსპერტებს თავის კონიკეტებისაში შემავალი საკითხების შესწავლისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების შესწავლის შესწავლისაში.
- **თემატური ჯგუფები - ექვემდებარება ეროვნულ პროფესიულ საბჭოს. აღნიშნულ ჯგუფებში შეიძლება შედიოდნენ და ხელმძღვანელობდნენ როგორც განათლების სამინისტროს თანამშრომლები, ისე დოკორების წარმომადგენლები. მაგალითად, მონიტორინგის ჯგუფის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე არის GIZ-ის წარმომადგენელი. 7 თემატური ჯგუფი მუშაობს მასხას დაკავშირებული სფეროს შესაბამისად, კერძოდ: პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემა/ჩარჩო, ხარისხის მართვა, პარტნიორობა და კომუნიკაცია, სასწავლებელთა პროფესიული განვითარება, პროფესიულ სასწავლებელთა მონიტორინგი, კარიერის დაგეგმვა და პროფესიული წინამდობობა/მენტორობა (guidance).**
- **დარგობრივი სატემოები - 13 დარგობრივი საბჭოს მუშაობა შიმართულია პროფესიული სტანდარტებისა და კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემუშავებასა და მათ დანერგვაზე. ხელს უწყობებ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში, აგრეთვე შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საგანმანათლებლის ურთიერთვავშირს.**

აღსანიშნავია შეთანხმება ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრებს შორის, რომლებიც იღებენ ვალდებულებას, რომ კოორდინირებული მუშაობით ერთობლივად შეეცდებიან პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ყველა დაგეგმილი თუ მიმდინარე რეფორმის წარმატებით განხორციელებას.



სქემა 2.1 - პროფესიული განათლების მართვის სისტემა

### პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა სახეები

პროფესიული კოლეჯი - ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

საზოგადოებრივი კოლეჯი - ახორციელებს ყველა საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე, მოსამართდებელ ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს.

### დაფინანსება


საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პროფესიული განათლების დაფინანსების უფლებამოსილება აქვთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, შესაბამის ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, აღნიშნული ორგანოები უფლებამოსილნი არიან საჯარო პროფესიულ სასწავლებელთა დაფინანსება განახორციელონ მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში სასწავლებლისათვის აუცილებელი საჭიროებებიდან გამომდინარე. რეალურად, დაფინანსება ძირითადად ხდება სამინისტროს მიერ (გორის სამსახურის კოლეჯს აფინანსებს საქართველოს კულტურისა და მეცნიერებების სამინისტრო).

2010 წლიდან აღნიშნულ ორგანოებს შიეცათ უფლება პროგრამული დაფინანსების გარდა, როგორც საჯარო, ისე კერძო პროფესიულ სასწავლებელთა I-III საფეხურის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამები დააფინანსონ ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვალისწინებული ფინანსური ნორმატივის შესაბამისი გაუჩერით.

იმავე 2010 წლიდან შესაძლებელი გახდა საჯარო და კერძო სასწავლებელთა აკრედიტებული პრიორიტეტული პროგრამების IV-V საფეხურების დაფინანსება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვალისწინებული გრანტით, რომლის ლიმიტი (ისევე, როგორც უმაღლესი სასწავლო აკადემიური პროგრამებისა) 2250 ლარია.


რეალურად, დაფინანსების ვაუჩერულ სისტემაზე გადასვლა განხორციელდა 2012 წელს, საგრანტოზე კი - 2011 წელს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საკანონმდებლო ზარიერის არ არსებობისა, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები არ იღებენ დაფინანსებას: მათ მიერ განხორციელებულ აკრედიტებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ვაუჩერებისა თუ გრანტის სახით.

ქვემოთ მოცემულ სქემა 2.2-ზე ნახავთ, თუ როგორ შეიძლება სასწავლებელთა ხუთივე საფეხურის დაფინანსება კანონმდებლობიდან გამომდინარე.




**სქემა 2.2- დაფინანსების წყაროები (კანონმდებლობიდან გამომდინარე)**

სუსტა, რეალურად, სახელმწიფოს მიერ დაფინანსება ხორციელდება შემდეგნაირად (იგულისხმება I-III საფეხური, რადგანაც სახელმწიფო გრანტებით აფინანსებს IV-V საფეხურებს):



სქემა 2.3 - დაფინანსების წყაროები (არსებული მდგრამარეობით)

წინამდებარე გრაფიკი 2.1 ასახავს 2010-2012 წლებში პროფესიული განათლების სისტემაზე გასარჯულ თანხებს.



გრაფიკი 2.1 2008-2012 წლებში გაცემული დაფინანსება:

როგორც დინამიკიდან ჩანს, პროფესიული განათლების დაფინანსება წლიდან წლამდე იზრდება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა 2012 წელს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს პროფესიული განათლების ხელშეწყობისათვის გამოყოფილი მთლიანი თანხიდან (16,625,780 ლარი) პირველ 11 თვეში სთვისებულია მხოლოდ 62%.

### 3. პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების განსაზღვრა

#### 3.1 პრიორიტეტული სასწავლო პროგრამების შეუსაბამობა შრომის ბაზართან

2013 წლამდე სამინისტრო სტუდენტს დაფინანსებას აძლევდა მხოლოდ პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში. პრიორიტეტული პროგრამების ნუსხას განსაზღვრავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული იყო პრიორიტეტული სასწავლო პროგრამები დალგული პროფესიული სასწავლებლისათვის, მათი პროფილიდან გამომდინარე.

პრიორიტეტულ სასწავლო პროგრამად განისაზღვრებოდა ეროვნული, რომელიც მოთხოვნადი იყო მთლიანად ქვეყნისა თუ რეგიონულ შრომის ბაზარზე. შესაბამისად, პრიორიტეტული პროგრამების ნუსხა შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო რეგიონების მიხედვით. თუმცა, სამინისტრო არ ფლობდა საკმარისი და სანდო ინფორმაციას ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესახებ. ამის მიზეზი არის ის, რომ არც საქართველოს მთავრობას და არც საქართველოს შრომის, ჯუნიორობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს არ ჰქონდა შემუშავებული შრომის ბაზრის კვლევის სტრატეგია, რის შედეგადაც აღნიშნულ პერიოდში არ განხორციელებულა საგმარისი კვლევები შრომის ბაზრის საფუძვლინად შესწავლის მიზნით. ამიტომაც, სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები არ ეყრდნობოდა სანდო და უტყუარ ისფორმაციას შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებების შესახებ.

შიუხედავად ინფორმაციის სიმწირისა, გარკვეული ღონისძიებები აღნიშნული კუთხით გასულ წლებში (2007-2012) განხორციელებულია, კერძოდ, რამდენიმე კვლევა ჩატარდა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების (USAID, IOM, GIZ) მიერ, რის შედეგადაც მოხდა საქართველოს შრომის ბაზრის შესწავლა ცალკეული რეგიონის მიხედვით. თუმცა სამინისტროს არ გაუთვალისწინებია აღნიშნული კვლევების შედეგები, რაღაც მათი უფრო უფრო განვითარებული და არასისტემატური იყო.

აუდიტით დადგინდა, რომ კვლევების შედეგად იდენტიფიცირებული დამსაქმებლის მიერ მოთხოვნადი პროფესიები ნაწილობრივ ემთხვევა სამინისტროს მიერ პროფესიული კოლეჯებისაუყოს განსაზღვრულ სასწავლო პრიორიტეტებს, რიგ ასპექტებში კი შეუსაბამობებია.

პროფესიული სასწავლებლების მიერ ყველაზე ხშირად შეოთვაზებული სასწავლო კურსებია:

სამშენებლო სფერო
სასტუმრო/ტურიზმი
ინფორმაციული ტექნოლოგიები
ტურიզმის (ავტომობილისა და სხვა მანქანა-დანადგარების)
სარესტორნო მომსახურება, კვება
ტექსტილი

### ცხრილი 3.1.1 - ხშირად შეთავაზებული კურსები

ასევე, მნიშვნელოვანი წილი მოდის ზოგად საოფისე უნარ-ჩვევებზე, როგორიცაა პერსონალური კომპიუტერის მოხმარება (ინფორმაციული ტექნოლოგიები), ბუღალტერია, მოლარისა და სასტუმროს საქმის მწარმოებლის კურსები.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GiZ) კვლევაში, რომელიც 2010 წელს ჩატარდა, წარვენებია პროფესიული სასწავლებლების კურსებისა და ბაზარზე არსებული მოთხოვნის შედარებითი ანალიზი. ასევე წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები. არსებული კვლევის თანახმად, შრომის ბაზარზე ყველაზე მზარდ და მითხვავნად სფეროებად სახელდება სამუშაოები, ასტრანსიურტიკ, კულტურული გამომსახურები, სარესტორნო მომსახურება, სამთო მრეწველობა, წყალმომარაგება, ტურიზმისა და სასოფლო სამუშაოები.<sup>7</sup> რომლებიც რიც კომპონენტებში არ ემთხვევა სასწავლებლების მიერ შეთავაზებულ გადამზადების კურსებს. კერძოდ, არასაკმარისად ან საერთოდ არ ხდება ქიმიკოსებისა და ფარმაცევტების გადამზადება.

აღსანიშნავია, რომ, ზოგიერთ სფეროში მოთხოვნის შეესაბამება მიწოდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება არასაკმარისი და არადამაკმაყოფილებელია, რადგან ისინი ეუფლებიან ზოგად, და არა სპეციფიკურ უნარჩვეუბს, რაც საკმარისი არ არის რთული სამუშაოების შესრულებისათვის. მაგალითად, GiZ-ის კვლევაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ მშენებლობასთან დაკავშირებულ სპეციალობებზე სასწავლო პროგრამების სიმრავლის მიუხედავად, დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი; შედეგად დგინდება, რომ მათ მიერ მოთხოვნილ პროფესიებზე სასწავლებლები ძირითადად არ ატარებენ ტრენინგს, ან ატარებენ მცირე რაოდენობით. ეს ენია:

- ელექტრონურმოება და მიწოდება (ელექტრიკოსების გადამზადება ხორციელდება შემოლოდ სამშენებლო ინდუსტრიისათვის);
- თხევადი პირის ტრანსპორტირება და მიწოდება;
- წყალმომარაგება და კანალიზაცია;

<sup>7</sup> GiZ, პროფესიული განათლების შესაბამისობა შრომის მაზრის მოთხოვნებით საქართველოში, 2010, გვ. 7-8, 31-32.

- სამთო და გადამამუშავებელი სფერო;
- ლოჯისტიკა და სარკინიგზი სფერო.<sup>8</sup>

ამ სფეროებში ბევრი კომპანია იმულებულია, საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს კადრების დიდი ოდენობით გადამზადება და დაქირავება.<sup>9</sup> აღნიშნული კუთხით უფრო სრულყოფილი გადამზადება ხელს შეუწყობს მეტი ადამიანის დასაქმებას.

### მრომითი ბაზრები რეგიონებში

პროფესიულ მოთხოვნები განსხვავდება რეგიონების მიხედვით. არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სამინისტროს მიერ დამტკიცებული პრიორიტეტებით საგანმანათლებლო პროგრამები<sup>10</sup> შეუსაბამის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირებულ საბაზრო მოთხოვნებთან რეგიონების მასშტაბით. საიდუსტრიაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სამეცნიერო-ზემო სვანეთის მხარე, სადაც პროფესიულ სასწავლებელთა მიერ შესავაზებული პროგრამები მნიშვნელოვნად განსხვავდება ბაზარზე არსებული მოთხოვნისაგან<sup>11</sup> (იხ. ცხრილი 3.1.2).

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო კვლევების საყუმცელზე იდენტიფიცირებულ მოთხოვნებისა და განსაზღვრულ პრიორიტეტებს შორის თანხვედრა მხოლოდ 6 პროფესიასთან მიმართებაშია, დანარჩენ 16 შემთხვევაში კი თანხვედრა არ არსებობს.

რაც შეიხება პროფესიული სასწავლებლების მიერ განხორციელებულ კვლევებს, დამსაქმებლების მიერ მოთხოვნა იკვეთება შემდეგი სფეროების სპეციალობებზე: ტექნიკით (ავტომობილებისა და სხვა მანქანა-დანადგარების), სამშენებლო სფერო, სატუმრო საქმის მწარმოებელი, სარესტორო საქმე და კვება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, და სამკურვალო სფერო. ამდენად, პროფესიული კოლეჯების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ძირითადად ემთხვევა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. თუმცა სამინისტრო პრიორიტეტების განსაზღვრისას სრულად არ ითვალისწინებს პროფესიული სასწავლებლებისა და სამოქალაქო სექტორის კვლევებს. ამდენად, ფინანსდება ისეთი პროფესიები, რომლებიც არსებული მონაცემების მიხედვით, რეგიონში მოთხოვნადი არ არის ან დაბალია.

<sup>8</sup> GIZ, პროფესიული განათლების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საქართველოში; 2010, გვ. 8

<sup>9</sup> იქც. გვ. 8.

<sup>10</sup> სამინისტროს მიერ დამტკიცებული პრიორიტეტებით პროგრამების ჩამონათვალში შედის თითქმის ყველა სასწავლო პროგრამა, რასაც კონკრეტული სასწავლებელი სთავაზობს სახოგადოებას, აღნიშნული ჩამონასუკალი საქმაოდ ერცელია.

<sup>11</sup> IOM (აშშ) საერთაშორისო განვითარების სამეცნიეროს (USAID) დაუინანსებით ჩატარებული კვლევა), მაქსროველობის ეროვნული შრომის ბაზარი, 2010, გვ. 37.

პროფესიები	მოთხოვნა სამეცნიელოსა და ზემო სვანეთში	პრიორიტეტები სპეციალობები (ლაკადა, ფაზისი, თეთნულდი, შ.მესხიას სახ. უნივ.) <sup>12</sup>
უცხოური ენის სპეციალისტი	✓	X
ბუღალტერი	✓	X
ITC სპეციალისტი	✓	✓
მიმტანი	✓	✓
მზარეული	✓	✓
გარმენი	✓	X
ელ. შემდუღებელი	✓	✓
სანტექნიკოსი	✓	✓
სტილისტი	✓	X
გაყიდვების/მარკეტინგის მენეჯერი	✓	X
კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის ტექნიკოსი	X	✓
დურგალი	X	✓
გიდი	X	✓
დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	X	✓
სასტუმრო საქმის მწარმოებელი	X	✓
კალატოზი	X	✓
პრავის შემკუთხებელი	X	✓
ზოოტექნიკოსი	X	✓
მემცერარე	X	✓

ცხრილი 3.1.2 მოთხოვნისა და მიწოდების შედარება სამეცნიელო-ზემო სვანეთში

<sup>12</sup> პროფესიული სასწავლებლები, რომლებიც ფუნქციონირებენ სამეცნიელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

ყოველიც ზუმოადნიშნულიდან გამომდინარე, ბაზრის სისტემური კვლევის მექანიზმების არქონამ გამოიწვია ის, რომ კურსდამთაცუსულთა<sup>13</sup> საერთო რაოდებობიდან საკუთარი პროფესიონალური დასაქმედა 23%, 10% კი დასაქმებულია სხვა სფეროში, მაშინ როდესაც კერძო სექტორის რიგი სუბიექტები განცდიას კადრების ნაკლებობას.<sup>14</sup> შედარებისათვის, 2010 წლის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნების პირველადი პროფესიული განათლების<sup>15</sup> კურსდამთავრებულთა დასაქმების შაჩვენებელი საშუალოდ 79.1%-ია. ბელგიაში დასაქმებულთა პროცენტი 85%-ს აღწევს<sup>16</sup>, ჩინეთში კურსდამთავრებულ სტუდენტთა 90%-ზე მეტი საქმდება<sup>17</sup>.

## განხორციელებული ცელილებები

სამინისტრომ 2013 წლიდან გააუქმა წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე დაფინანსების გაცემის სისტემა. აღნიშნული სისტემა უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ გარემოებების, როგორებიცა: პირველ რიგში, სახელმწიფოს, შემდგომში კი სასწავლებლების და საერთაშორისო ორგანიზაციების; მხრიდან ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგები, კერძო სექტორთან მჟღადრო თანამშრომლობის შედეგად მიღებული ინფორმაცია და სხვა სანდო წყაროები, რაც სამინისტროს სრულყოფილად არ გააჩნია (გარდა რამდენიმე საერთაშორისო კვლევისა). აღნიშნული სისტემის გაუქმებით სამინისტრო მოვლებულია შესაძლებლობას გარკვეულწილად უსრუნველყოს სასწავლებლოთა მხრიდან შოთხოვნადი პროგრამების შეთავაზება (პროგრამის შემუშავებასა და შეთავაზებაში სასწავლებლები არ იზღუდებიან, თუმცა სამინისტროს მიერ დასაფინანსებელი სფეროების განსაზღვრა გაელენას ახდენდა აღნიშნულ პროცესზე, რადგანაც შოთხოვნა უფრო მეტად იმ პროფესიებზე იყო. რომლებიც ფინანსურებულია სახელმწიფოს მიერ. შესაბამისად, სასწავლებლებიც უფრო მეტად აღნიშნულ პროგრამებზე იყვნენ ინიციატივებულნი).

აღნიშნულთან დაკავშირებით პოზიტიურად უხდა ჩაითვალოს მთავრობის მიერ 2013 წელს შრომის ბაზრის კვლევის სტრატეგიის დამტკიცება (რომლის ფარგლებში დაგევმილია კვლევების ჩატარება), რამაც დადებითად უნდა იმოქმედოს სასწავლებლების მხრიდან პროფესიული სასწავლო პროგრამების სწორად შერჩევასა და შეთავაზებაზე.

<sup>13</sup> იგულისხმებიან ის კურსდამთავრებულები, რომელთა დასაქმების თაობაზე ინფორმაცია არსებობს

<sup>14</sup> აღნიშნული ეყრდნობა საინფორმაციო ცენტრების მონაცემებს; თავად სასწავლებლთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დასაქმების დონე შედარებისა შალალია.

<sup>15</sup> Initial Vocational Education and Training (IVET).

<sup>16</sup> European Centre for the Development of Vocational Training, *On the Way to 2020: Data for Vocational Education and Training Policies*, Research Paper 31, 2013.

<sup>17</sup> LiQian, GaoYinan, *Employment Rate of Vocational Graduates up Slightly: Report*; 2013.

### 3.2 სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობების დაფინანსების წესის არარსებობა

სასწავლო პროგრამების მოცულობებს<sup>18</sup> განსაზღვრავს საბჭო, ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შექმნას ვაში, ავტორიზაციის ვადით (5 წელი), ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ (ცენტრი) პროფესიული სასწავლულებების სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში ავტორიზაციის დაჩვენილი ვადით.<sup>19</sup> სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადი ცენტრის (კონკრეტულად, საბჭოს) წინაშე, რომელშიც სასწავლებელმა უნდა დაასაბუთოს, რომ მის მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა რაოდენობა განპირობებულია სასწავლო პროგრამის თავისებურებით, მასწავლებელთა საჭირო რაოდენობით და კვალიფიკაციით, ასევე უნდა დასაბუთდეს, რომ მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა იძლევა ამ რაოდენობის სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობას.<sup>20</sup>

საბჭო განიხილავს განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ისმენს ზეპირ სხდომაზე დაინტერესებული პირების მოსაზრებებს და მათი გათვალისწინებით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. საბჭო უფლებამოსილია დაეთანხმოს საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნას ან შეამციროს მის მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა.

სასწავლებელი უფლებამოსილია მიიღოს დაფინანსება სასწავლო პროგრამაზე ჩარიცხული ყველა სტუდენტისათვის იმ შემცხვევაში, თუ პროგრამა და სტუდენტი აკმაყოფილებენ კანონით განსაზღვრულ შესაბამის კრიტერიუმების. მრომის ბაზრის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის სიმწირის გამო, სამინისტრო და საბჭო მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, გაითვალისწინონ, თუ რამდენი სტუდენტის დაფინანსება არის შეზღუდული ამა თუ იმ სასწავლებლის კონკრეტულ პროგრამაზე რეგიონულ ზაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სასწავლებელს შეაძლესა გააჩნდეს სტუდენტთა შემზადებისათვის აუცილებელი სატერიალური თუ ადამიანური რესურსი, მაგრამ ყველა სტუდენტის დაფინანსება მიზანშეწონილ არ იყოს შრომით ზაზარზე არსებული მოთხოვნის კონკრეტულის გათვალისწინებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტების მხრიდან მოთხოვნა, პირველ რიგში, ისეთ სასწავლო პროგრამაში რეალურად მათ დაფინანსების მიღების შეტი შესაძლებლობა აქვთ. გარდა ამისა, ზღვრული ოდენობის განსაზღვრა უმეტეს შემთხვევებში ხდება ავტორიზაციის ვადით, 5 წელიწადში ერთხელ, რაც საკრიად ხანგრძლივი პერიოდია ქვეყანაში, არსებული ცეალებადი კონკრეტური სიტუაციიდან გამომდინარე.

<sup>18</sup> ეროვნული მოსსწავლე სტუდენტთა ზღვრული ოდენობა.

<sup>19</sup> განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების თაობაზე, №99/ნ, 01.10.2010; მუხლი 33.

<sup>20</sup> იქვე, მუხლი 33.

შედეგად, დალგენული პროფესიული კადრების საჭირო ოდენობით გადატადება და შესაბამისი დაფინანსების გაცემა უზრუნველყოფილი არ არის. აღნიშნული ფაქტორი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის უთანასწორობის ერთ-ერთი მიზეზია. ზოგიერთი მოთხოვნადი პროფესია განიცდის ვალიფიციური მუშა-სულის ნაკლებობას, ხოლო ზოგიერთში ჭარბი რაოდენობის კადრი ყალიბდება. მაგალითად, კახეთის რეგიონში არის ფერმურთა, ფარმაცევტთა, ბუღალტერთა, აეტოშემკეობებელთა; იმერეთში - მზარეულის, მცხობელის, ელექტრიკოსის; სამეცნიერო-ზემო სფარეთის შარეში - უცხოური ენის სპეციალისტის, მზარულის, მიმტანის, სტილისტის.<sup>21</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სტუდენტთა ზღვრული ოდენობების დაფინანსების პრაქტიკა აპრობირებულია უმაღლეს სასწავლებლებთან შემართებაში. შესაბამისად, აღნიშნული სისტემის დანერგვა პროფესიულ სასწავლებლებთან შესაბამის შესაძლებელია.

### 3.3 დასკვნა და რეკომენდაციები

სამინისტროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებისა და შრომის ზარარზე არსებული მოთხოვნის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შთავობისა და სამინისტროს მიერ არ არის უზრუნველყოფილი შეთავაზებული სასწავლო პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან. გარდა ამისა, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას განსაზღვროს, თუ რა ოდენობის სტუდენტის დაუინანსება და გადამზადება არის გონივრული თითოეულ პროფესიაზე.

შედეგად, კერძო სექტორის სუბიექტები განიცდიან პროფესიული კადრების ნაკლებობას, კურსდამოავრებულთა საერთო რაოდენობის მხრიდან 1/4 საქმდება თავისი პროფესიის, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სტუდენტებზე გაცემული დაფინანსების არაპროდუქტულობას.

ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები აუცილებელი პირობაა, რომ გაიზარდოს დასაქმებულთა რიცხვი, რაც თავის მხრივ, სელს შეუწყობს სტუდენტების მოტივაციის ამაღლებასა და მათ მიერ სასწავლო კურსების დასრულებას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც დასაქმების გაუმჯობესების, ასევე, საბიუჯეტო სახსრების ეფექტურნად განკარგვისათვის.

<sup>21</sup> IOM (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ჩატარებული კვლევა), საქართველოს ეროვნული შრომის მაზრი: 2010, გვ. 37.

### **რეკომენდაციები:**

საქართველოს მთავრობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოფიალური დაცვის სამინისტროს:

- უზრუნველყოფილ იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013-2020 წლების სტრატეგიულ გათვალისწინებულების ვალდებულებების შესრულება, რაც ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევის სისტემების დანერგვას, მის შემდგომ განვითარებასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწყდომობას.

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- წაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე გაუმჯობესდეს პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების პრიორიტეტების განსაზღვრის, პროცესი, შემუშავდეს და დაინერგოს შესაბამისი პროცედურები, რაცა უზრუნველყოფილ იქნება პრიორიტეტების მისადაგება რეგიონებში არსებულ სპეციალიკურ მოთხოვნებთან. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებისა და მოთხოვნების შესწავლის, განხილვისა და გათვალისწინების შესაძლებლობებს. ამ მიზნით, სამინისტრომ ხელი უნდა შეუწყოს პროფესიულ სასწავლებლებსა და კერძო სექტორს (დამსაქმებლები) მორის კოორდინაციასა და თანამშრომლობას.

სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრასთან ერთად, დასახვერია დასაფინანსებელ სტუდენტთა ზღვრული ოდენობების განსაზღვრის წესები და პროცედურები. აღნიშნული უნდა შოთავდეს, როგორც მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრას, ასევე სასწავლებელთა ადამიანური რესურსების ინფრასტრუქტურული გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას, მათი ურთიერთშესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

#### 4. სასწავლო პროცესების მართვა

პროფესიული განათლების სისტემატიზაციისა და პოპულარიზაციისათვის ევროპის მასშტაბით შემუშავდა ერთიანი ჩარჩო კოპენჰაგენის დეკლარაციის სახელმწიფო დებით.

კოპენჰაგენის პროცესი წარმოადგენს ევროპის ქვეყნების თანამშრომლობას პროფესიული განათლებისა და ტრენინგების კუთხით, რათა მოხდეს პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და გაუმჯობესდეს არსებული ხარისხი. პროცესი დაიწყო 2002 წელს და მასში მონაწილეობს ევროპის 33 ქვეყანა. კოპენჰაგენის პროცესში დაყრდნობით შედგა კოპენჰაგენის დეკლარაცია, როსკონკო 2 წლის წილი ერთხელ ზუსტდება და წარმოადგენს პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ერთიან ევროპულ ჩარჩოს, სადაც წათლად არის ჩამოყალიბებული მართვის მექანიზმები ხარისხის უზრუნველსაყოფად. პროცესის მიზანია ევროპის მასშტაბით ერთიანი სისტემის შექმნა, რაც გააძლიერებს ამ კუთხით ქვეყნებს შორის თანამშრომლობას. კოპენჰაგენის დეკლარაცია აყალიბებს ევროვაკერის მასშტაბით წორმებს, ხოლო თითოეულ წევრ სახელმწიფოს შესაბამისობაში მოჰყავს არსებული რეგულაციები ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემასთან, რომელიც სტანდარტიზებულია ყველა სასწავლებლისათვის.

კოპენჰაგენის დეკლარაციის ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტი (EQAVET), რომელიც არეგულირებს პროფესიული განათლების მართვის საკითხებს, როგორც ქვეყნაში არსებული სისტემისთვის, ასევე კონკრეტული პროფესიული სასწავლებლებისათვის.

სისტემა 4 საფეხურიანია, რომელიც მოიცავს მიზნის დასახვას, დაგეგმვას, განხორციელებას და შეფასებას. ასევე, განსაზღვრულია შეფასების ინდიკატორები, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული ქვეყნის დონეზე, რაო უზრუნველყოფილი იქნეს ხარისხი. ესენია:

- შიდა კონტროლის/ანგარიშგების სისტემის დანერგვა, მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ბაზის მოთხოვნის გასსაზღვრა;
- კურიკულური მართვისა და კრედიტების გამართული სისტემა;
- მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება;
- კერძო სექტორთან თანამშრომლობა და მქიდრო კოორდინაცია.<sup>22</sup>

საქართველო არ არის ამ პროცესის წევრი, თუმცა სამინისტრო და შესაბამისად პროფესიული განათლების მართვაზე პასუხისმგებელი სსიპ-ები გამოითქვამენ სურვილს დაუახლოონ თავიანთი საქმიანობა საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, ცუნტრი

<sup>22</sup> European Parliament and Council, *Recommendations on the Establishment of a European Quality Assurance Reference Framework for Vocational Education and Training*, 2009, გვ. 8-10.

თავის ერთ-ერთ მიზნად ასახელებს განხორციელებული რეფორმის კოპერატივების  
დოკუმენტაციას და ევროპის საფრცესთან დაახლოებას.<sup>23</sup>

4.1 პროფესიული სასწავლებლების ანგარიშგების სისტემის წაკლოვანებები



შედეგების მოწიტორინგის გასათვალისწინებელი მაგალითები მრავლადაა საერთაშორისო პრაქტიკაში; მაგალითად, ესტონეთში არობირებულია პროფესიული სასწავლებლების მიერ თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პრაქტიკა (რასაც EQAVET-სასწავლებლების რაზე დაყრდნობითაც სამინისტროს მიერ ხდება სისტემური ან/და იც თვალისწინებს), რაზე დაყრდნობითაც სამინისტროს მიერ ხდება სისტემური ან/და იც თვალისწინებს), რაზე დაყრდნობითაც სამინისტროს მიერ ხდება სტრატეგიის ღონისძიებების იდენტიფიციირება და შესაბამისად განვითარების სტრატეგიის ღონისძიებების იდენტიფიციირება და შესაბამისად განვითარების სტრატეგიის განვითარება. სასწავლებელი დეტალურად ასახავს წინა წლებში მიღწეულ შედეგებს, ხოლო შემუშავება. სასწავლებელი დეტალურად ასახავს სამომავლო გეგმებს, რათა აღმოჩენებრივას არსებული სამინისტრო სტრატეგიაში ასახავს სამომავლო გეგმებს, რათა აღმოჩენებრივას არსებული ნაკლოვანებები და გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხი.

ა განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი,

[http://eqe.ge/geo/education/professional\\_education/copenhagen\\_process?info=12](http://eqe.ge/geo/education/professional_education/copenhagen_process?info=12)

<sup>24</sup> European Parliament and Council, *Recommendations on the Establishment of an Assurance Reference Framework for Vocational Education and Training* 2009, 23-6-7.

საქართველოში პროფესიული სასწავლებლების ფუნქციონირებისა და სემიანობის მონიტორინგზე პასუხისმგებელია ცენტრი. პროცესების კონტროლი ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით: პროფესიულ სასწავლებლთა ავტორიზაცია,<sup>25</sup> აკრედიტაცია<sup>26</sup> და სასწავლებელთა მხრიდან ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა, რომლებიც ბხოლოდ სასწავლებელთა მხრიდან ყოველწლიური ანგარიშების წარდგენა, რომლებიც ბხოლოდ წლის განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებს ითვალისწინებენ. წლის განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებს ითვალისწინებენ. წლის განმავლებლებისთვის აკტორიზაციისა და აკრედიტაციის შინიჭება ხდება 5 წლის ვადით.

აკრედიტაციის წინაპირობა თვითშეფასების დოკუმენტია, რომელის მიზანია დეტალურად შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტუაციაში, გამოყოს მლიური და სუსტი მხარეები და მოახდინოს განვითარების მესამლებლებების იდენტიფიცირება. მოსელიც მხოლოდ თვითშეფასების ფორმა აქვთ ასევე ყოველწლიურ ანგარიში, რომელიც მხოლოდ ითვალისწინებს თვითშეფასების დოკუმენტში განხორციელებულ ცვლილებებს.

გარდა ამისა, ცენტრის მონიტორინგის სამსახური უფლებამოსილია საგანმანათლებლო დაწესებულებაში განახორციელოს სტანდარტების, ან/და საავტორიზაციო და სააკრედიტაციო ვიზიტის მომიტორინგი.

როგორც ვხედავთ, საქართველოში არსებული სისტემა რიგ ასპექტებში თავსებადია რეალურ ვერცხლით, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან. კერძოდ, კოპენტენციის პროცესთან და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან. კერძოდ, დანერგილია საგანმანათლებლო დაწესებულებების თვითშეფასების სისტემა, რეფორმებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ, ინფორმაცია ზედამხედველობისა და ხორციელდება მონიტორინგი ცენტრის მიერ, ინფორმაცია ზედამხედველობისა და შეფასების შედეგების შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომი.

სისტემის დადებითი მხარეების მიუხედავად, სამინისტროსა და ცენტრს მართებს რიგი რეფორმებისა და ღონისძიებების გატარება სისტემის დასახვერისა და არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, კერძოდ:

- არ არის შემუშავებიული პროფესიული სასწავლებლების გარე შეფასების მეთოდოლოგია და ინდიკატორები (მაგალითად, შეფასება დამსაქმებელთა ჩხრიდან);
- შეფასების პროცესში არ არის ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე; ექსპერტთა ჩართულობა პირიტიური მოვლენაა, თუმცა არასაკმარისი;
- ზედამხედველობის სხვა დამატებითი მექანიზმების (როგორიცაა, მაგალითად, მასწავლებელთა გამოვითხვა სასწავლო პროცესებთან და გარემოსთან

<sup>25</sup> აეტორიზაცია არის გარე შეფასების შექმნის, რომელიც ადგენს დაწესებულების თვითშეფასების შედეგების შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან. თვითშეფასების შედეგების შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან.

<sup>26</sup> აკრედიტაციის მიზანია აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის განსაზღვრის ვზით. განათლების ხარისხის საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკუიდრება ასამაღლებლად საგანმანათლებლო დაწესებულების სისტემატური თვითშეფასების დამკუიდრება და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

- დაკავშირებით) გამოყენება მხოლოდ აკრედიტაციის მინიჭების პროცესში ხდება თავად სასწავლო დაწესებულების მიერ, ცენტრი კი აღნიშნულ პროცესში არ არის ჩართული (თავად არ ახორციელებს გამოკითხვებს);
- საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებით ცენტრში არსებული მონაცემთა ბაზა არ არის სრულყოფილი - არ არის ინფორმაცია კურსდაპთავრებულთა დასაქმების თაობაზე, (ბაზის სრულყოფაზე მუშაობა მხოლოდ 2013 წელს დაიწყო, რის შემდეგაც ხდება რეგულარული განახლება, გარიცხული სტუდენტების ასახვა). რაც შეეხება ინფო-ცენტრებში არსებულ მონაცემთა ბაზას, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარეზეა გათვლილი, გაუძარხავა და ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს<sup>27</sup>;
  - სამინისტროს მიერ სისტემატურად არ ხორციელდება მოპოვებული მონაცემების ძირეულად დამუშავება და იდენტიფიცირებულ პრობლემებზე შესაბამისი რეაგირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება და ქვეყნის/რეგიონის მასშტაბით საჭირო დოკუმენტების გატარება.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ეფექტური და მიზანმიმართული ღონისძიებების გატარებით სამინისტროსა და ცენტრს ექნებათ სრულყოფილი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, პრობლემების იდენტიფიცირება გააღვალდება და მათზე რეაგირების პროცესი იქნება უფრო სწრაფი და ეფექტური. შედეგად, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროფესიული განათლების ხარისხის მარტივის სისტემას.

#### 4.2 სტანდარტების, კურრიკულუმებისა და კრედიტების სისტემის ნაკლოვანებები

კოენციალუნის პროცესის ფარგლებში პროფესიული განათლების სფეროსათვის ევროპის მასშტაბით შემუშავდა კრედიტების სისტემის ჩარჩო დოკუმენტი ECVET, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის ასაღლება, სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა და თანაბარი კვალიფიკაციის<sup>28</sup> მქონე კადრების არსებობა. კრედიტების სისტემის უნიფირება და სტანდარტიზება აადვილებს კრედიტების დაგროვების, აღიარების, გადაცემის პროცესს, რომელიც, თავის მხრივ ხელს უწყობს მიღებული პროფესიული განათლებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის აღიარებას ევროპის მასშტაბით.<sup>29</sup>

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტუდენტებს კრედიტები ენიჭებათ კონკრეტული სასწავლო კომპონენტის გაელის შემდეგ. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება კი

<sup>27</sup> აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით უფრო დაწესებული იხილეთ 4.4.2 ქვეთავი.

<sup>28</sup> თანაბარი კვალიფიკაციის კადრებში იგულისხმებიან ისეთი კურსდამთავრებულები, რომლებიც აკადემიულებენ კონკრეტულ პროფესიასთვის აუცილებელ მინიმალურ მოთხოვნებს.

<sup>29</sup> Recommendation of the European Parliament and of the Council on the Establishment of a European Credit System for Vocational Education and Training (ECVET), 2009, გვ.5.

ხდება კრედიტების განსაზღვრული ოდენობის დაგროვების შემდეგ. ECVET განმარტავს, რომ თითოეული სასწავლო კომპონენტი უნდა იყო ნათლად და გამართულად განსაზღვრული ისე, რომ შესაძლებელი იყოს სტუდიების ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის შეფასება აღნიშნული კომპონენტის გავლის შემდეგ.<sup>30</sup>

ECVET-ზე დაყრდნობით, რომელიც ვრცელდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, თითოეული სახელმწიფო ადგენს სტანდარტს ეროვნულ დონეზე ცალკეულ პროფესიასთან მიმართებაში, რომელიც განსაზღვრავს დალგენული პროფესიის დაუფლებისათვის საჭირო კრედიტების ოდენობას; ხოლო სასწავლო კომპონენტები, რომლებიც უნდა გაიაროს სტუდენტმა კრედიტებისა და, შესაბამისად, პროფესიის დაუფლებისათვის, განსაზღვრულია კურიკულუმებში. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, პროფესიული სტანდარტი ჰვეყნის შასტაბით უნდა არეგულირებდეს როგორც კრედიტების სისტემის სტანდარტიზაციას, ასევე, კურიკულუმის შედგენის წესსაც.<sup>31</sup> პროფესიული სასწავლებლები ვალდებული არიან ისარგებლონ აღნიშნული სტანდარტით და მის შესაბამისად შეადგინონ კურიკულუმები. ევროპის სხვა სახელმწიფოების მსგავსად, ერთ-ერთ ნიმუშს წარმოადგენს ფინეთი, სადაც თითოეულ პროფესიაზე ნათლად არის გაწერილი საჭირო კრედიტების რაოდენობა, რომელზე დაყრდნობითაც დგინდება სავალდებულო და არჩევითი საგნები, ასევე პრაქტიკული კურსის მოცულობა.<sup>32</sup> ფინეთის მაგალითზე ჩანს, რომ თითოეულ პროფესიაზე სტანდარტი ძალიან დეტალურად არის გაწერილი და გათვალისწინებულია ყველა შესაძლო საკითხი.<sup>33</sup>

საქართველოში კრედიტების სისტემის ფუნქციონირებასა და ცალკეული პროფესიული სტანდარტის შედგენაზე პასუხისმგებელია ცენტრი, რაზე დაყრდნობითაც პროფესიული სასწავლებლები ადგენენ კურიკულუმებს<sup>34</sup> ინდივიდუალურად.

უნდა აღინიშნოს რომ, ცენტრის მიერ შემუშავებილი სტანდარტი განსხვავდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული სტანდარტისაგან, რადგანაც არის მაღიან ზოგადი და არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას.<sup>35</sup> კერძოდ, ცენტრის მიერ შედგენილი სტანდარტი მოიცავს მხოლოდ იმ ინფორმაციას, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ამა ტუ იმ პროფესიის აღამიანი, მაშინ როცა, ევროპის ქეყნებში

<sup>30</sup> Recommendation of the European Parliament and of the Council on the Establishment of a European Credit System for Vocational Education and Training (ECVET), 2009, გვ. 5-6.

<sup>31</sup> Finish National Board of Education, *Requirements for Vocational Qualifications: Vocational Qualification in Business and Administration*, 2009, გვ. 19-21.

<sup>32</sup> Finish National Board of Education, *Requirements for Vocational Qualifications: Vocational Qualification in Hairdressing, Hairdresser 2009*.

<sup>33</sup> Finish National Board of Education, *Quality Management in Finland*, [http://www.oph.fi/english/sources\\_of\\_information/projects/quality\\_in\\_vet\\_schools/about\\_quality\\_management/qm\\_in\\_finland](http://www.oph.fi/english/sources_of_information/projects/quality_in_vet_schools/about_quality_management/qm_in_finland)

<sup>34</sup> სასწავლო კურსის პროგრამა რომელიც მოიცავს: სწავლების მიზნებსა და ამოცანებს, ფორმატს, კურსის საათობრივად გაწერილ გეგმას, სახელმძღვანელოების ჩამონათვალს, შეფასების პრინციპებსა და მოსალოდნელ შედეგებს სასწავლო კურსის დასრულებისას.

<sup>35</sup> განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი: პროფესიული სტანდარტები.

სტანდარტით გათვალისწინებულია ადმინისტრირებასთან თუ კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ყველა დეტალი: სავალდებულო და არჩევითი საგნების ჩამონათვალი, საათების რაოდენობა, პრაქტიკული კურსების რაოდენობა, მისაღები კვალიფიკაციისა და შესასწავლი უნარ-ჩვეულების დეტალური განმარტება და ა.შ. აღსანიშნავია ისც. რომ საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით კურიკულუმების შედგენა ცენტრალიზებულად ხდება, საქართველოში კი აღნიშნულს სასწავლებლები დამოუკიდებლად ახორციელებენ. რაც იწვევს კურიკულუმებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებასა და მათ შეუსაბამობას საერთაშორისო პრაქტიკასთან.

საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ინიციატივით განხორციელდა ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში, რომლის ერთ-ერთ კომისიონებს წარმოადგენდა პროფესიული სტანდარტების შემუშავება. ამ კომისიონების ფარგლებში 2013 წელს განახლდა აგრარული, სამშენებლო, სატრანსპორტო, დიზაინისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგების 15 პროფესიული სტანდარტი. DACUM<sup>35</sup>-ის მეთოდოლოგიის გამოყენებით აღიწერა თითოეული ამ პროფესიის პროფილი, შესაბამისი მოვალეობები, ცოდნა, ზოგადი და საკვანძო უნარ-ჩვეულები, საჭირო ხელსაწყო-იარაღები და პროფესიის სამომავლო განვითარების ტენდენციები. სამუშაო ჯგუფში შედიოდნენ დარგობრივი სამჭირების წარმომადგენლები, დამსაქმებლები, დასაქმებულები და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. თუმცა, ეს მეტად პოზიტიური პროცესი ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზე, რაღაც შესამუშავებელია კიდევ რამდენიმე ათეული სტანდარტი, რომლებზე მუშაობაც უკვე დაწყებულია.

პროფესიული სტანდარტების ამ მეთოდოლოგიით შემუშავება ევროპასა და მსოფლიოში პროგრესული წარმატებული მეთოდია, რადგან პროცესში ჩარჩულია ყველა დაინტერესებული მხარე. კონკრეტულად გაწერილი მოვალეობები, საჭირო უნარ-ჩვეულები და ა.შ. შეამცირებს იმის აღმაობას, რომ სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლები განსხვავებულ კურიკულუმებს შეადგენენ შოტეშული პროფესიებისთვის. ამ მეთოდოლოგიით შემუშავებული სტანდარტებით გაადვილდება კრუდიტების ერთიანი სისტემის დაწერვაც.

კრედიტების სტანდარტიზებულია და უნიფიცირებული სისტემის არსებობა წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ გაადვილდეს კრედიტების დაგროვება და ტრანსფერი ევროპის ქვეყნებში და, ამასთანავე, უზრუნველყოფს თანაბარი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას. საქართველოში კრედიტების სისტემა არის არასტანდარტიზირებული - ერთსა და იმავე პროფესიაზე სხვადასხვა კოლეჯებში განსხვავებული კრედიტების სისტემა. მაგალითად, ორ წამყვან კოლეჯში - „აისი“ (36 კრედიტი) და „ახალი ტალღა“ (40 კრედიტი) გიდის პროფესიაზე სხვადასხვა რაოდენობის კრედიტების სისტემა და პრაქტიკული სამუშაოების სხვადასხვა რაოდენობაა საჭირო კურსის დასასრულებლად.

<sup>35</sup> პროფესიული სტანდარტების კურიკულუმების შემუშავების მეთოდი ჯგუფზე მუშაობის სახით, სამუშაო ჯგუფი ჩელმძღვანელობენ ექსპერტები და დამკვირვებლები.

მსგავსი მაგალითები მრავლადაა სისტემაში, რაც თავისთვად ამრკოლებს კვალიფიციური კადრების მომზადების პროცესს. შედეგად ვიღებთ არასათანადო კვალიფიკაციის კადრებს: მიღებული კვალიფიკაციის ხარისხი საგრძნობლად განსხვავებულია.

არასტანდარტული სისტემის გამო შეუძლებელია დაგროვილი კრედიტების სხვაგან გამოყენება, რაც ხელს უშლის სასწავლო პროცესის მოქნილობას და თანაბარი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებას, ასევე, შეუძლებელს ხდის სწავლის დროებით შეწყვეტასა და შემდგომ გაგრძელებას (ე.წ. აკადემიური), უარყოფით გავლენას ახდენს მობილობაზე, რაც თავის მხრივ ზღუდვს პროფესიულ კოლეჯებს შორის ჯანსაღ კონკურენციას.

#### 4.3 მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

კოპენჰავენის დეკლარაციით გათვალისწინებულია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, რომელიც უნდა განხორციელდეს, როგორც პედაგოგიური, ისე პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებით.<sup>37</sup> მასწავლებელთა პროფესიული განვითარება უკრომის ქვეყნების მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტად არის მიჩნეული. ამას ადასტურებს კოპენჰავენის პროცესის მონაწილე ქვეყნების მიერ ქალაქ ბრიუუში (ბელგია) მიღებული სტრატეგიული დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა მუდმივად უნდა იზრუნოს მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რისი ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის მათი გადამზადება საწარმოებში,<sup>38</sup> რამაც ხელი უნდა შეუწყოს მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას.

საქართველოში მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელია სისპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრის თემატური ჯგუფი, რომელშიც ერთიანდებიან სამინისტროს, პროფესიული სასწავლებლების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ყოველწლიურად გეგმავს ჩასატარებელ ტრენინგებს საჭიროებულან გაშომდისარე. 2010-2012 წლებში ჩატარდა 8 ტრენინგი.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა გადამზადება ხორციელდება ყოველწლიურად და მასში ჩატარების არიან კადრები სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლებიდან, ცხრილიდან ნათლად ჩასს, რომ ტრენინგები ძირითადად ორიენტირებულია ზოგადი უნარების განვითარებაზე (მაგალითად, სწავლების მეთოდები) და არ ემსახურება პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებას. კერძოდ, ბოლო 3 წლის მანძილზე ვიწრო სეკვიალობით ჩატარდა 2 ტრენინგი და მასში მონაწილეობას იღებდა შეოლოდ 7

<sup>37</sup> კოპენჰავენის დეკლარაცია, 2002, გვ. 2-3.

<sup>38</sup> The Bruges Communiqué on enhanced European Cooperation in Vocational Education and Training for the period 2011-2020, Bruges 2010, გვ. 8.

მასწავლებელი, ხოლო დანარჩენ 6 ტრენინგში, რომლებიც სწავლების ზოგად მეთოდებზე იყო ორიენტირებული, ჩართული იყო მასწავლებელთა დიდი ჯვლური. რაც შესქება, მასწავლებელთა გადამზადებას საწარმოებში, მსგავსი სახის ტრენინგები არ განხორციელებულა.

ტრენინგის დასახელება	მასწავლებელთა რაოდენობა
საბაზო პედაგოგიური უნარები	583
შესავალი ინკლუზიურ განათლებაში	563
განვრცობილი პედაგოგიური უნარები	542
სწავლების ინტერაქტიული მეთოდები	472
ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესში- დონე 1	352
ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესში- დონე 2	324
საგნობრივი ტრენინგი „სეისკალ-სამტკიცოსის სპეციალობით	2
საგნობრივი ტრეინინგი თაბაშირ-მუყაოს სპეციალობით	5

#### ცხრილი 4.3.1 - ტრენინგები

ნაკლოვანებების მიუხედავად, ასევეული მოდელი გარევეულწილად თავისებადია ევროპულ ქვეყნებში არსებულ სისტემასთან, კერძოდ ტარდება ტრენინგები და არ დგას სტანდარტიზაციის პრობლემა.

### 4.4 კერძო სექტორთან არასაკმარისი კოორდინაცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა

#### 4.4.1 კერძო სექტორთან არასაკმარისი კოორდინაცია

პროფესიული განათლების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია მჭიდრო კოორდინირებული თანამშრომლობა მთავრობასა და კერძო სექტორს შორის. აღნიშნულს ადასტურებს როგორც კოპერატაციის დევლარაცია, ისე - საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

კოპერატაციის დევლარაციის ფარგლებში ევროსაბჭო ახორციელებს „ახალი უნარები ახალი სამუშაოსთვის“ ("New Skills for New Jobs"), რომლის მიზანია პროფესიული განათლების სისტემის მეშვეობით დაეხმაროს კადრებს სწორი უნარების

გამომუშავებასა და იმ განათლების მიცემაში, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის მოთხოვნიდან.

შიზნის შისაღწევ ერთ-ერთ გზას წარმოადგენს დამსაქმებლების ჩართულობა ტრენინგების დაფინანსების კუთხით და მათი, როგორც დაინტერესებული მხარის, აზრის გათვალისწინება კურიკულუმების, სტანდარტების, ხარისხის კონტროლის მექანიზმების და ა.შ. ფორმირებაში, რათა უზრუნველყოს სასურველი ხარისხი და გარსარდოს სასდომობა. ას პროცესში სამინისტროების ჩართულობა ეროვნულ დონეზე აუცილებელია.

საქართველოში პროფესიული განათლების განვითარებისა და პროფესიულ განათლებაში სახელმწიფო დაწესებულებების, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო სექტორის, აგრეთვე, პროფესიული კულტურის კოორდინირებული მიერედების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროს ინიციატივით, ჩამოყალიბდა პროფესიული საბჭო, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია შუამავალი სოციალური პარტნიორების ჩართვა პროფესიული განათლებისა და მომზადების სექტორში.

საბჭოს შემადგენლობაში შუამავალი სოციალური პარტნიორების სტატუსით შედიან დასაქმებლები, სამთავრობო სააგენტოები, ბიზნესი ასოციაციები, ბიზნესის სექტორული ასოციაციები და პროფესიული ასოციაციები, პროფგავშირები და დასაქმების საგენტოები.

აუდიტით გამოვლინდა, რომ აღნიშნული საბჭოს ფუნქციონირება ფორმალურ ზასიათს ატარებს, რადგან მათ არც სამოქმედო გეგმა გააჩნიათ და არც კონკრეტული ღონისძიებები გაუტარებათ აღნიშნული კუთხით.

კერძო სექტორსა და სამინისტროს შორის არასაკმარის კომუნიკაციაზე მიუთითებს ის ფაქტი რომ პოტენციური დამსაქმებლები არ ფლობენ ინფორმაციას კურსდამთავრებულებზე, ძოქშედ სტუდენტებზე და ა.შ. კერძო სექტორთან თანამშრომლობის ერთადერთი მაგალითი სამინისტროს მხრიდან ღია კარის აღსანების მოწყობაა, ხოლო კოლეჯები საკუთარი მაღლისხმევით ცდილობენ მათთან თანამშრომლობას. სხვა პროცესებში კერძო სექტორი, როგორც ერთ-ერთი დაინტერესებული მხარე, არ არის ჩართული, რასაც საბოლოო ჯამში მიღყავართ იქამდე რომ დამსაქმებლის მოთხოვნასა და მომზადებულ კადრებს შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავება.

აღნიშნული კუთხით დადგებითად უნდა შეფასდეს 2013 წელს შემუშავებული „დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების სტრატეგია პროფესიული განათლების სექტორში“ და სამინისტროს ინიციატივით განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება (მოეწყო ფორუმები, კონფერენციები, პროფესიული განათლების ფესტივალი, გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები დამსაქმებლებსა და პროფესიულ კოლეჯებს შორის და ა.შ.)

#### 4.4.2 ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაკლებობა

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხს შეეხება კოპენჰაგენის დევლარაციით გათვალისწინებული ENIC-NARIC-ის სისტემა, რომელიც გულისხმობს საინფორმაციო ცენტრების მართვას. ENIC წარმოადგენს საინფორმაციო ცენტრს ეუროპის მასშტაბით, ხოლო NARIC ეროვნულ დონეზე. მათ მირთად ფუნქციას წარმოადგენს:

- უცხოური დიპლომების, ხარისხის და კვალიფიკაციის აღიარება;
- განათლების სისტემის განვითარებაზე ზრუნვა პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით;
- გაცვლით პროგრამებზე ზრუნვა, მობილობის, სესხების, დაფინანსების და სხვა საკითხების მოყვარება;
- ერთიანი მონაცემთა ბაზის აღმინისტრირება.

კოპენჰაგენის დევლარაციის გარდა მსოფლიოში არსებობს სხვა საუკეთესო პრაქტიკაც:

**ავსტრალია:** არსებობს ერთიანი ონლაინ პორტალი, სადაც შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული კოლეჯების, ამ კოლეჯებში არსებული კურსების შესახებ და, ასევე, ამ კურსებზე რეგისტრაცია.<sup>39</sup>

**გერმანია:** არსებობს „პროფესიული სახელმძღვანელო“ (Vocational guidance) – პროფესიული განათლების საკონსულტაციო ცენტრები, სადაც მსურველები იღებენ რჩევებს, თუ რა მდგომარეობაა სამუშაო ბაზარზე, შედეგად, რა კუთხით სჯობს წაიყვანონ თავიანთი პროფესიული კარიერა და რისი გაკეთება დასჭირდებათ ამისათვის: კურსებისა და პრაქტიკის გავლა და ა.შ.<sup>40</sup>

საქართველოში სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს 3 საინფორმაციო ცენტრი – თბილისში, ქუთაისში და ბათუმში. ამ ცენტრების მთავარი ფუნქციებია:

- პირის ინფორმირება პროფესიული საგანმანათლებლო პროფრამების, ჩარიცხვის პირობებისა და ვალების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების პირობებისა და არსებული ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაციის საყდარობა;
- პროფესიული განათლების მიღების მსურველთა შესახამის ბაზაში რეგისტრაცია.

როგორც აუდიტის ჯგუფის მიერ პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა გამოკითხვამ აჩვენა, ცენტრების ფუნქციონირების ერთ-ერთ პრობლემას 2013 წლამდე წარმოადგენდა ის, რომ არ არსებობდა რეგისტრაცია ინტერნეტ-გვერდების მეშეობით.

<sup>39</sup> ავსტრალიის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროფრამების შორის აუდიტის ვებ-გვერდი, <http://training.gov.au/>

<sup>40</sup> გერმანიის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივა: კომეტენციები და საერთაშორისო თანამშრომლობა პროფესიული განათლების დარგში,

[http://www.imove-germany.de/cps/rde/xchg/imove\\_projekt\\_international/hs.xls/search\\_providers.htm](http://www.imove-germany.de/cps/rde/xchg/imove_projekt_international/hs.xls/search_providers.htm)

ერთადერთი გზა სასწავლებელში დასარეგისტრირებულად ან დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად საინფორმაციო ცენტრში სტუმრობა იყო, რაც რეგისტრებში მცხოვრები სტუდენტებისათვის გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. დღეს აღნიშნული პრობლემა აღარ დგას, თუმცა საერთაშორისო პრაქტიკას და საქართველოში არსებული სისტემის შედარებითმა ანალიზში აჩვენა, რომ საინფორმაციო ცენტრები ფუნქციურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ევროპის ქვეყნებში არსებული საინფორმაციო ცენტრებისაგან. კერძოდ, არა აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია შრომის ბაზრის შესახებ, არ თანამშრომლობენ პარტნიორ სახელმწიფოებთან, არ ზრუნავენ ვაცვლით პროგრამებზე და ა.შ.

გარდა ამისა, პრობლემურია ის ფაქტიც, რომ გაუმართავია და ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს მონაცემთა ბაზა, რომელიც შექმნილია სამინისტროს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ბაზა უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე - სტუდენტები, კოლეჯები, პედაგოგები, პერსონალი, პროგრამები, ამ ეტაპზე ბაზა შეიცავს ინფორმაციას მხოლოდ ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობას და კურსდამთაგრებულთა გარკვეულ ნაწილზე. გარდა ამისა, აღნიშნულ ინფორმაციაზე არ ხორციელდება მომიტორინგი და არ ტარდება კვლევები სისტემაში არსებული სურათის შესაქმნელად და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

#### 4.5 დასკვნა და რეკომენდაციები

გატარებული ღონისძიებების მოუხედავად, სამინისტროს მიზანი, რომელიც გახლავთ კოპერატივურის დევლორაციასთან და ევროპის სივრცესთან დაახლოებაა, არ არის მიღწეული. პროფესიული განათლების სფეროში დანერგილი ანგარიშებისა და ხარისხის კონტროლის სისტემა არ არის სრულყოფილი, სასწავლო პროგრამების კურიკულუმები და ერთდიტების სისტემა შეუსაბამობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და პრაქტიკასთან, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადება არ არის ორიენტირებული პროფესიული უნარ-ჩვევების გასკესარებაზე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კერძო სუქტორის ჩართულობა შეზღუდულია.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ხელს უშლის სისტემის გამართულად ფუნქციონირებას, რაც ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთათვის სათანადო ხარისხის სწავლების მიწოდებას, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს პროფესიული კადრების არასაკრიარის კვალიფიკაციას და შაზრის შრასაზოვნებთან მიწოდების (კადრების) შეუსაბამობას.

#### რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, რომ სამინისტროსა და სააგენტოს მიერ შემუშავდეს სასწავლებელთა შეფასების სრულყოფილი მეთოდოლოგია და ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც რეგულარულად მოხდება ნაკლოვანებების გამოყლება და

- დაისახება სტრატეგიაში მათი გამოსწორების გზები; შეფასების პროცესი უზრუნველყოფილ იქნეს კერძო სექტორის ჩართულობა; შემუშავდეს ზედამხედველობის სხვა დამატებითი შექანიზმები.
- საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითზე, სამინისტროს ხელშეწყობით ცნობრის მიერ სასურველია შეიქმნას კურივულუბებისა და კრედიტების უნიფიცირებული სისტემა, რომელიც თავსებადი იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან. მიზანშეწონილია, კურივულუბები იყოს უფრო ყოვლისმომცველი, სადაც ნათლად და დეტალურად იქნება განმარტებული პროგრამის შედეგად მიღებული კვალიფიკაცია და უსარ-ჩვეულებელი. დასრულდეს პროფესიული სტანდარტების შემუშავების DACUM-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება წარიმართოს სისტემურად, რაც გულისხმობის ტრენინგების ორიენტირებას პროფესიულ უნარ-ჩვევებზე და მათი საწარმოებში (დამსაქმებლებთან) ჩატარების შესაძლებლობას.
- მიზანშეწონილია, შესრულდეს ახლად შექმნილი კომუნიკაციის სტრატეგიით („დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების სტრატეგია პროფესიული განათლების სექტორში“) გათვალისწინებული ყველა პუნქტი და განხორციელდეს სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რათა მოხდეს ბიზნესის წარმომადგენლების დაინტერესება, ჩაერთონ პროფესიული განათლების პროცესში. ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს დამსაქმებლების ფუნქციები; მათი სისტემაში ჩართულობა ადმინისტრაციული თვალსაზრისით გამარტივებული უნდა იყოს; ნათლად უნდა განიმარტოს, თუ რა სარგებელი შეიძლება მიიღოს სოციალური პარტნიორობით. ასევე, სასურველია მოხდეს მათი ჩართვა სტაუირებაში (პროფესიული ურსების დროს პრაქტიკული მეცადინეობები) და საბაზრო კვლევებში. მათ შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი მოთხოვნა დასასაქმებლებთან დაკავშირებით (დაინტერესების გამოხატვა ღია კარის დღეებზე, ვაკანსიის კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსება და ა.შ.). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს კერძო სექტორის ჩართვა სტანდარტების შემუშავების პროცესში.
- არსებული სიტუაციიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შეიქმნას მონაცემთა ერთიანი ბაზა და ამოქმედდეს სრულფასოვნად მისი ყველა პუნქტი. რაც მომავალში მონიტორინგის განხორციელების საშუალებას იძლევა. ასევე, სასურველია გათვალისწინებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა საინფორმაციო ტექნიკების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და ჭვეფანაში არსებული განათლების სისტემის გათვალისწინებით მოხდეს მისი დაწერვა.

## 5. პროფესიული განათლების დაფინანსება

### შესავალი

პროფესიული განათლების სისტემის დაფინანსება ძირითადად ვაუჩერებითა და გრანტებით ხორციელდება. თუმცა, აღნიშნულის გარდა, სასწავლებლები დამატებით იღებენ დაფინანსებას ადმინისტრაციული ხარჯისათვის, ასევე, დაფინანსება შეიძლება მიღლონ სპეციალური პროგრამის ფარგლებში ინფრასტრუქტურის განვითარებისა ან სხვა რაიმე კონკრეტული მიზნისათვის. ადმინისტრაციული ხარჯისათვის გასაცემი დაფინანსების ოდენობას სამინისტრო განსაზღვრავს საკითხი შესწოლებისამებრ, რისთვისაც მას სპეციალური პროცედურა ან მეთოდი არ აქვს შემუშავებული.

### ვაუჩერით დაფინანსებისა და სარგებლობის წესი

დაფინანსების აღნიშნული წესი რეგულირდებოდა მთავრობის დადგენილებით,<sup>41</sup> რომლის თანახმადაც 700 ან 1000 ლარიანი ვაუჩერი სტუდენტს ეძღვოდა I III საფეხურის პრიორიტეტული პროგრამის დასაფინანსებლად განურჩევლად პროგრამის ზარგობლივობისა და დანრშნულებისა.

როგორც წესი, გადარიცხვა ხდებოდა 2 ჯერ პროგრამის მიმღინარეობის განმავლობაში: პროგრამაზე ჩარიცხებისას და პროგრამის მიმღინარე პროცესში (დაახლოებით პროგრამის შუაში, 500-500 ლარი) ან/და ერთხელ, პროგრამის დასაწყისში.

სტუდენტის მიერ სწავლის შეწყვეტის შემთხვევაში ვაუჩერი ან მისი ნაწილი სამინისტროს არ უბრუნდება. სხვა სასწავლებელში გადასვლის შემთხვევაში სტუდენტს ვაუჩერი არ გადაჰყება, ანუ რჩება იმ სასწავლებელს, სადაც თავდაპირველად ჩაირიცხა.

### ცვლილებები

2013 წლის 19 სექტემბრიდან მთავრობის მიერ შიღებული დადგენილებით<sup>42</sup> შეიცვალა ვაუჩერული დაფინანსების წესი. ვაუჩერი პროფესიულ სტუდენტებზე გაიცემა მხოლოდ ერთიანი ეროვნული პროფესიული გამოცდების ჩაბარებისას მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში.

რაც შეეხება ვაუჩერის ოდენობას, იგი განსაზღვრულია საფეხურების და პროგრამების მიხედვით, და არის 100-დან 2 250 ლარამდე. ვაუჩერის გადარიცხვა მოხდება კვარტალურად. თუ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი, რომელიც სარგებლობს

<sup>41</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება N96, 15.03.2012.

<sup>42</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება N244, 19.09.2013.

გაუჩერით, ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადავა სასწავლებლად,<sup>43</sup> მაშინ მიმღებ დაწესებულებას მიეცემა ვაუჩერული დაფინანსებით გათვალისწინებული თანხა, მოხილობის განხორციელების მომდევნო კვარტლიდან.

იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტს შეუჩერდება სტატუსი, მომდევნო კვარტლიდან სტუდენტის ვაუჩერის მიმღებ დაწესებულებასაც შეუჩერდება სწავლის საფასურის გადარიცხვა, სტუდენტის სტატუსის აღდგენამდე (არაუმჯობეს 2 წლის მანძილზე).

ასევე აღსანიშნავია, რომ ახალი დადგენილებით არ იცვლება პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე უფლებაშოსილი დაწესებულებები, სადაც კვლავ არ შედის ის დაწესებულებები, რომლებიც არ არიან დაფუძნებული სახელმწიფოს თანამონაწილეობით.

## გრანტით სარგებლობის წესი

გრანტის მინიჭება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების (ქალონდ უნარები) შედეგების საფუძველზე, რომლის დროსაც მხედველობაში მიღიღება მხოლოდ უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ კანდიდატთა შედეგები (და არა მხელიანი ეროვნული გამოცდების შედეგები). კრანტის მაქსიმალური ლიმიტი არის 2250 ლარი. კრანტის ვერ მიღების შემთხვევაში სტუდენტმა თავად უნდა დაიფინანსოს სწავლა (გარდა სოციალურად დაუცველებისა), რადგანაც IV-V საფეხურის პროგრამების დაფინანსება ხორციელდება მხოლოდ გრანტის ფორმით, ვაუჩერი კი, როგორც აღინიშნა, მხოლოდ I-III საფესურების დასაფინანსებლადაა მიმართული.

განსხვავებით ვაუჩერებისგან, სხვა სასწავლებელში გადასვლის შესთხვევაში სტუდენტის კრანტის დარჩენილი ნაწილის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოყენების შესაძლებლობა აქვს.

## 5.1 დაფინანსების არაოპტიმალური გადანაწილება სასწავლებლებზე

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთ სტუდენტთას შემსართებები არ უნდა იღებდნენ შინიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობის დაფინანსებას, თუ ისინი მსგავსი ტასის მომსახურებას ახორციელებენ. მაგალითისთვის, ანალოგიურ გარემოებაში შვედეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაფინანსების საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ სასწავლებლები ერთსა და იმავე პროფესიასთან დაკავშირებული პროგრამის განხორციელებისათვის

<sup>43</sup> საქართველოს ბთავრობის დადგენილება N244, 19.09.2013, მუხლი 5.

იღებენ სხვადასხვა იდენტობის თანხების ერთ სტუდენტთან მიმართებაში, რაც შეედ აუდიტორთა მიერ დაფინანსების სისტემის ნაკლოვანებად შეფასდა.<sup>44</sup>

სასწავლებელთა შეირ შიდებული დაფინანსების 2010-2012 წლების ანალიზია აჩვენა, რომ იგივე პრობლემა არის საქართველოშიც, რადგან სასწავლებლები, რომელიც ახორციელებს ქსგავსი ტიპისა და რაოდენობის პროგრამებს, იღებენ მნიშვნელოვნად განსხვავებულ თანხებს ერთ სტუდენტთან მიმართებაში.<sup>45</sup> ქვემოთ მოცემული გრაფიკი 5.1.1 ასახავს, თუ რა ოდენობის თანხებს იღებდნენ სასწავლებლები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთ სტუდენტთან მიმართებაში (იხ. გრაფიკი 5.1.1).

გრაფიკი 5.1.1-დან ჩანს, რომ ერთ სტუდენტთან შიძართებაში გაცემული დაფინანსება სასწავლებლების, მიხედვით საგრძნობლად განსხვავდებოდა 2010-2011 წლები. მაგალითად, 2011 წელს პროფესიულ კოლეჯ „ოპიზარში“ სწავლამდა 166 სტუდენტი და დაფინანსების სახით (პროგრამული დაფინანსების გამოყლებით) მიიღო 328,513 ლარი. შესაბამისად, სახელმწიფო ერთი სტუდენტის შომხადებაზე 1,979 ლარს<sup>46</sup> ხარჯავდა აღნიშნულ სასწავლებელში, „იკაროსში“ – 1,525 ლარს, გორის სამუსიკო კოლეჯში, რომელიც კულტურის სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის და ახორციელებდა არაპრიორიტეტულ პროგრამებს, 14,286 ლარს.<sup>47</sup> აღნიშნული სასწავლებლებიდან განსხვავებით, პროფესიული კოლეჯები „განთავადი“, „ლავადა“, „მოდუსი“, საშუალოდ იღებდნენ მხოლოდ 500-600 ლარს.<sup>48</sup>


<sup>44</sup> სტატისტიკის შექსწავლელ სტუდენტებზე გაცემული დაფინანსების ანალიტიკა წარმოდგენილი და განსილებულია შევდეთის ეროვნული აუდიტორული სამსახურის ეფექტურობის აუდიტის ანგარიშით: კურსების კლასიფიცირება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

<sup>45</sup> ერთ სტუდენტთან მიმართებაში გაცემული დაფინანსების გამოთვლისას მხედველობაში იქნა მიღებული გაუჩერებითა და ადმინისტრაციული ხარჯისათვის ზოუჯეტიდან დამატებით მიღებული დაფინანსებებით (შესაბაძისად, არ იქნა გასუკალისწინებული მიზნობრივი პროგრამის უარგლებში გაცემული დაფინანსებები, აქტივურის უსასყიდლოდ გადაცემა და ა.შ.); აღნიშნული დაფინანსებების საფუძველზე მიღებული თანხისა და წლის განმავლობაში მოსწავლე სტუდენტთა რაოდენობის შეფარდებით კი განისაზღვრა ერთ სტუდენტზე გაცემული დაფინანსების ოდენობა.

<sup>46</sup> 1,979 ლარი = 328,513 / 166 (კოლეჯ „ოპიზარში“ დაფინანსებისა და სტუდენტების რაოდენობის შეფარდება).


<sup>47</sup> გორის სამუსიკო კოლეჯი გრაფიკში არ არის მოცემული, რადგანაც: 1) არ შედის ვანათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში; 2) თანხა იძღვნად განსხვაუდებოდა სხვა სასწავლებლებისგან, რომ დაისახალანს (სურათის) თვალსაჩინოდ დანახვა შეუძლებელია.

<sup>48</sup> აღნიშნულ ანალიტიკაში არ იქნა გათვალისწინებული სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, რადგანაც აღნიშნული დაწესებულება სტუდენტთა გადამზადების გარდა ახორციელებს სასწავლებელთა საინფორმაციო მომსახურებას: შესაბამისად, შრომის ანაზღაურებაზე გაბარჯული თანხების სხვა სასწავლებელთა მიერ გახარჯულ თანხების შედარება არ იქნებოდა მართებული.



**გრაფიკი 5.1.1 ერთ სტუდენტთან მიმართებაში გაცემული დაფინანსება**

გრაფიკი 5.1.1-დან ჩანს, რომ პრობლემა აქტუალურია 2012 წელსაც, რაც აღასტურებს, რომ დაფინანსებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები ვერ აღმოიფხვრა ვაუზერული სისტემის შემოღებით (სამინისტროს განძარტებით, ეს განაპირობა იმანაც). რომ ვაუზერული სისტემა 2012 წლის აპრილიდან ამოქმედდა, პირველი კვარტლისათვის კი მათ დამატებით მიუცათ დაფინანსება). მაგალითისათვის, პროფესიულ კოლეჯ „მერმისში“ 2012 წელს სწავლობდა 2404 სტუდენტი. ერთ სტუდენტზე სასწავლებელი იღებდა 358 ლარს, შაშის როდესაც კორის სამუსიკო კოლეჯი იღებდა 11 053 ლარს, „პორიზონტი“ – 1352 ლარს, „სპექტრი“ – 1006 ლარს.



**გრაფიკი 5.1.2 შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები ერთ სტუდენტთან მიმართებაში (2012წ.)**

სასწავლებლებზე არაოპტიმალურად გაცემულმა დაფინანსებამ გამოიწვია ის, რომ სასწავლებლები გასწევდნენ საგრძნობლად განსხვავებულ თანხებს ადმინისტრაციულ ხარჯებზე, კერძოდ, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე. მაგალითად, გორის სამუსიკო კოლეჯი (რომელიც ულტურის სამინისტროს მმართველობის სფეროში შედის და, შესაბამისად მისგან იღებდა დაფინანსებას) ერთი სტუდენტის სწავლისათვის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე ხარჯავდა წელიწადში 9,322 ლარს; გაცილებით უფრო ნაკლებს, „სპექტრი“ და „ოპიზარი“ (შესაბამისად, 773 და 602 ლარი). მათგან გასსხვავებით, „აისი“ – 173 ლარს, „ფაზისი“ კი მხოლოდ 41 ლარს (იხ. გრაფიკი 5.1.2). აღნიშნული მირითადად გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა სასწავლებლებს გასსხვავებული ტარიფები აქვთ დაწესებული მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებისათვის.

მსგავსი არაოპტიმალური გადაწაწილების გამო სასწავლებლებს არ ეძლევათ განვითარებისა და სტუდენტთათვის შესაბამისი ხარისხის სწავლების შეთავაზების თანაბარი შესაძლებლობა.

## 5.2 ვაუჩერული დაფინანსების არსებული სისტემის წაკლოვანებები

### 5.2.1 არაოპტიმალურად განსაზღვრული ვაუჩერის ოდენობა

#### ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის საფუძველი

არსებული დაფინანსების სისტემით (რომელიც რეგულირდება მთავრობის დადგენილებით), ვაუჩერის ოდენობა 700 ლარია, ხოლო გარკვეული კატეგორიის პირებისათვის (მაგალითად, სოციალურად დაუცემები) განკუთვნილია 1000 ლარის ოდენობის ვაუჩერი. ვაუჩერის ოდენობის დაანგარიშებისას გასათვალისწინებელია რიგი გარემოებები, რათა იყო იყოს ადევგატური/ოპტიმალური ოდენობის და შეესაბამებოდეს სასწავლებლის რეალურ საჭიროებებს. სამინისტროს 2011 წლის აპრილისათვის მიღებული ჰქონდა ინფორმაცია სასწავლებლებიდან იმის თაობაზე, თუ რა ოდენობის თანხა იყო საჭირო ერთი სტუდენტის სწავლებისათვის ამა თუ იმ კონკრეტულ პროგრამაზე.<sup>49</sup> აღნიშნული ინფორმაცია მიუთითებს, რომ ცალკეული პროგრამისათვის აუცილებელი თანხები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთონარეთისაგან. სამინისტროს მხრიდან სასწავლებლებიდან აღნიშნული ინფორმაციის მოყროვებისა და შესაბამისი ანალიზის განხორციელების მიზანი გახლდათ ის, რომ განსაზღვრულიყო სახელმწიფოსა და სტუდენტის მიერ გადასახდელი წილები სწავლის მთლიანი საფასურიდან, რამდენადაც 2011 წელს სწავლის საფასურის 20%-ს სტუდენტი იხდიდა, 80%-ს კი სახელმწიფო. თუმცა სამინისტრომ არ ჩათვალა მიზანშეწონილად აღნიშნული

<sup>49</sup> აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, განათლებისა და მუნიციპალიტეტის მინისტრმა 2012 წლის განმავლობაში 3-ჯერ (საგაზაფხულო, საზაფხულო და საშემოდგომო მიღებებზე) შესაბამისი ბრძანებებით (N287, N638, N985) ოფიციალურად დაადგინა ამა თუ იმ პროცესის სწავლის საფასურის ზღვრული ოდენობები კონკრეტულ სასწავლებელთან მიმართებაში.

ინფორმაციის საფუძველზე დაწესებინა განსხვავებული ოდენობის ვაუჩერები სხვადასხვა პროფესიაზე და შეიმუშავა მონოვაუჩერის პრინციპი, რომლის ოდენობა ფიქსირებული იყო პროგრამის ტიპისა თუ შინაარსის მიუხედავად. ასევე, ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის პროცესში არ ყოფილა უზრუნველყოფილი პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული განათლების მართვაზე პასუხისმგებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. აღნიშნული პროცესი წარიმართა დამოუკიდებლად სამინისტროს აკარატის მიერ.

### ვაუჩერის ფიქსირებული ხასიათი

დაფინანსების სისტემის ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება გახლდათ ვაუჩერის ფიქსირებული ხასიათი, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტები 700 ან 1000 ლარიან ვაუჩერს იღებდნენ განურჩევლად პროგრამის ხანგრძლივობის, ტიპისა და ხასიათისა. სტუდენტის სწავლის დასაფინანსებლად განსხვავებული თანხებია საჭირო, პროგრამის ხანგრძლივობისა და მინარსიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული პროფესიის შესწავლას სჭირდება განსხვავებული ინფრასტრუქტურული გარემო, ტექნიკური აღჭურვილობა, სწავლების პერიოდი და ა.შ. შესაბამისად, ყოველი კონკრეტული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯი განსხვავებულია იმ რესურსებიდან გამომდინარე, რაც ამ პროგრამის სწავლებას ესაჭიროება. ამას ადასტურებს სასწავლებლების მიერ განხორციელებული დაანგარიშებები, რითაც სამინისტრო ინფორმირებულია პროგრამების საფასურის შესახებ, მაგალითისათვის, შეიძლება განვიხილოთ კოლუჯ „ერქვანის“ გაანგარიშება (ცხრილი 5.2.1.1), სადაც ჩანს, რომ განსხვავებული პროგრამებისათვის იდენტური ოდენობის დაფინანსების გაცემა მიზანშეუწონელია.

სამინისტროს აღნიშნული გარემოებები არ გაუთვალისწინებია. შედეგად, არსებული სისტემით სტუდენტი იღებს ფიქსირებულ 1000 ან 700 ლარიან ვაუჩერს განურჩევლად იმისა, სწავლობს იგი, მაგალითად, 3 თვისან პროგრამაზე თუ 2 წლიანზე, შეისწავლის ინფორმაციულ ტექნოლოგიებს თუ ტურიზმს.

კოლეჯი „ერქვანი“	
პროფესია/პროგრამა	პროგრამის საფასური
მელინე	388.7
ტრაქტორისტ-მემანქანე	530.6
ვეტერინარული მომსახურეობის სპეციალისტი	380.7
მეფუტკრე	201.1
მევენახე	197.8
მემინანქრე	257.7

#### ცხრილი 5.2.1.1 - პროგრამების საფასური

ზემოთ განხილული მიზეზით, სახწავლებლები სახელმწიფოსაგან არ იღებდნენ იმ ოდენობის თანხებს, რაც მათ რეალურად ესაჭიროებოდათ სტუდენტთა სწავლის დასაფინანსებლად. აუდიტის ჯგუფმა თვალსაჩინოებისათვის შედარებითი ანალიზით განსაზღვრა სასწავლებლის რეალური და საჭირო დაფინანსების მოცულობა. საილუსტრაციოდ მოყვანილია პროფესიული სასწავლებლის „აისის“ მაგალითი (ცხრილი 5.2.1.2):

როგორც ცხრილი 5.2.1.2-დან ჩანს, პროფესიულმა სასწავლებელმა „აისმა“ 2012 წელს ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე მიიღო 36,384 ლარით<sup>50</sup> მეტი, ვიდრე მას რეალურად ესაჭიროებოდა, რაც შეადგენს ვაუჩერების საფუძველზე მიღებული თანხის დაახლოებით 18%-ს. ზედმეტად მიღებული თანხები ძირითადად ხმარდება ადმინისტრაციულ ხარჯებს, რისთვისაც სამინისტროს ცალკე ჰქონდა გამოყოფილი დაფინანსება პროფესიული სასწავლებლისათვის. შედეგად, ვაუჩერის საფუძველზე ზედმეტად გაფლიული თანხებით ხელოვნურად იზრდება სასწავლებელთა ადმინისტრაციული დანახარჯი. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ რიგ შესაბუკებელში სასწავლებლები იღებდნენ იმაზე ნაკლებს ვიდრე ესაჭიროებოდათ.

<sup>50</sup> 36,384 ლარი = 199,000 – 162,616, (ჩარიცხული თანხის და დაფინანსების საჭირო ოდენობის სსფაობა)

სპეციალობა	საფასური (2011წ. მიხედვით)	ჩარიცხულთა რომელისა	დაფინანსების საჭირო ოდენობა <sup>51</sup>	ჩარიცხული თანხა
ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი	677.0	24	16248	22800
მზარეული (I, II საფეხური)	893.7	22	19662	21400
გიდი	1,154.0	13	15002	12700
სასტუმრო საქმის მწარმოებელი	610.3	19	11595	18400
დურგალი	904.0	17	15368	14000
ელექტრიკოსი	730.7	14	10230	13400
კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი	682.1	25	17052	23200
მეზათქაშე	597.9	15	8969	13800
მეფიოლე- მომპირკეთებელი	673.1	17	11443	15800
მრავის შემკეთებელი	730.9	37	27045	32500
ტრაქტორისტ- მემანქანე	714.4	14	10002	11000
სულ			162616	199000

ცხრილი 5.2.1.2 - ჩარიცხული თანხების შეუსაბამობა არსებულ საჭიროებებთან (ცოლეჯი „აისი“, 2012წ.)

<sup>51</sup> 16,248 ლარი = 677 x 24, სადაც 677 არის სწავლების საფასური, რომელიც არის სწავლებისათვის საჭირო დაფინანსების პროპორციული. შესაბამისად, თუ ერთი ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მომზადებას სჭირდება 677 ლარი, 24-ს დასჭირდება 16,248 ლარი. რეალურად კი, სამინისტრომ 24 ვეტერინარის მომზადებისათვის სასწავლებელს ჩაურიცხა 22,800 ლარი. 22,800 ლარსა და 16,248 ლარს შორის სხვაობა წარმოადგენს ზედმეტად გაწეულ დაფინანსებას.

### 5.2.2 ვაუჩერული დაფინანსების არარაციონალური წესის შედეგად გაზიული არაეფექტური ხარჯი

ვაუჩერული დაფინანსების მთავარი პრინციპი და მიზანი არის პროფესიული ვაუჩერული დაფინანსების სამართლიანად და ადეკვატურად დაფინანსება იმ ოდენობით, რაც მათ სასწავლებლების სამართლიანად და ადეკვატურად დაფინანსება იმ ოდენობით, რაც მათ რეალურად ესაჭიროებას. როგორც ზემოთ აღნიშნა, ამ მიზანის მიღწევის ერთ-ერთი ხელშემშეღები ფაქტორი ვაუჩერის ოდენობის ფიქსირებული ხასიათია. აღნიშნულის გარდა, სასწავლებლების სწორად და ოპტიმალურად დაფინანსებას ხელს უშლის ვაუჩერით სარგებლობის გაუმართავი წესი.

აღნიშნულში იგულისხმება ის, რომ 2013 წლის სექტემბრამდე, თანხების ჩარიცხვა რიგ შემთხვევაში ხდებოდა ეროვნულად. მას შემდეგ რაც სტუდენტი მიღებულ იქნებოდა პროგრამაზე სასწავლებლის მიერ; ზოგჯერ კი - ორ ტრანშად (500-500 ლარი). თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ მოწმდებოდა აქტიურ სტუდენტთა ზაზა, რათა დადგრძნილყო, ნამდებილად აფრთხებდა თუ არა სტუდენტი სწავლას შესაბამის პროგრამაზე.

შესაბამისად, სასწავლებელს შეიძლება მიეღო 1000 ლარი ერთი სტუდენტის სასწავლისათვის, თუმცა სტუდენტის გარიცხვის შესტოვევაში მას თანხა მაინც რჩებოდა. გარიცხულ ან ნებაყოფლობით სწავლაშეწყვეტილ სტუდენტთა შესახებ მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ სასწავლებლებმა საკმაოდ დიდი ოდენობის თანხები გახარჯეს იმ პერიოდში, როდესაც სტუდენტი სასწავლებელში აღარ ირიცხებოდა. შესაბამისად, სასწავლებლთა მიერ გახარჯული თანხა არ ასახავს მათ მიერ სტუდენტისათვის გაწეული მომსახურების (სწავლების) ხანგრძლივობას. ცხრილი 5.2.2.1 სტუდენტისათვის გაწეული მომსახურების (სწავლების) ხანგრძლივობას. ცხრილი 5.2.2.1 სტუდენტისათვის გახარჯეს სასწავლებლებმა იმ პერიოდში, როდესაც ის ასახავს, თუ რა ოდენობის თანხები გახარჯეს სასწავლებლებმა იმ პერიოდში, როდესაც სტუდენტები, რომლებმაც ვაუჩერული დაფინანსება მოიპოვეს. სასწავლებლებში აღარ სტუდენტები, რომლებმაც სტუდენტებში გაიხსნება იმ ირიცხებოდნენ და, ასევე, თუ მოლიანობაში რა ოდენობის თანხა გაიხსარჯა იმ სტუდენტებზე, რომლებმაც სწავლის დასრულება და შესაბამისი პროფესიის დაუფლება ვერ შემდეს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მხოლოდ 2012-2013 წლების განშავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც ვაუჩერული დაფინანსების სისტემა იქნა შემოღებული, პროფესიულმა სასწავლებლებმა 866,515 ლარი გახარჯეს იმ პერიოდში, როდესაც სტუდენტი სასწავლებლში არ ირიცხებოდა. მოლიანობაში, იმ სტუდენტებზე გახარჯულმა სასწავლებლში არ ირიცხებოდა. მიიღეს ვაუჩერული დაფინანსება, მაგრამ გარიცხვისა თუ სხვა თანხებში, რომლებმაც მიიღეს ვაუჩერული დაფინანსება და, შესაბამისად, პროფესიის მიზეზით სწავლის შეწყვეტის გამო პროგრამის დასრულება და, შესაბამისად, პროფესიის დაუფლება ვერ შემდეს, შეადგინა თითქმის 2 მილიონი ლარი. აღნიშნული სასწავლებლებმა განსაკუთრებით პრობლემატური იყო 2012 წელს, აღნიშნულ პერიოდში სასწავლებლებმა ვაუჩერის საფუძველზე მიღებული მოლიანი თანხის (5,581,300) თითქმის 14%, (775,454 ლარი) გახარჯეს სტუდენტთა მიერ სწავლის შეწყვეტის შემდგამ პერიოდში. იმ გახარჯეს სტუდენტთა მიერ სწავლის შეწყვეტის შემდგამ პერიოდში. იმ სტუდენტებზე გახარჯულმა თანხებმა კი, რომლებმაც პროფესიული საგანმანათლებლო

პროფესიული დასრულება ვერ შეძლეს, შეადგინა 1,406,101 ლარი, რაც 2012 წელს ვაუჩერებზე მთლიანად გახარჯული თანხის 25% ს შეადგენს.

N	სასწავლებლები	გარიცხვის შემდგომი გახარჯული თანხები	მთლიანად გახარჯული თანხა
1	„ახალი ტალღა“ (ქობულეთი)	53,825	95,200
2	„აიხი“ - (კაჭარეთი)	29,243	72,550
3	გ.მ. მარ. საინფ. სისტ	105,550	225,400
4	„ბლუზი“	50,383	89,200
5	„თეთრნულდი“	13,200	161,500
6	„მერმანი“	54,996	124,400
7	„ოპიტარი“	76,189	48,256
8	„ფაზისი“	35,069	84,300
9	„ლოკადა“	23,233	110,600
10	„მოდუსი“	11,190	124,000
11	„სპექტრი“	182,280	280,000
12	„იკაროსი“	138,792	296,452
13	„მრეწველი“	35,338	121,643
14	„ჰორიზონტი“	44,712	86,000
15	„განთავადი“	12,515	50,550
	სულ	866,516	1,970,051

#### ცხრილი 5.2.2.1<sup>52</sup> - დაფინანსების ანალიზი (2012-2013წ.)

ამგვარად, 2012-2013 წლებში სწავლა შეწყვეტილ სტუდენტებზე გახარჯული მთლიანი თანხა (1,970,051 ლარი) უნდა ჩაითვალოს არაეფექტურად, რადგანაც ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზანი/შედეგი, რაც სტუდენტისათვის ევალიფიკაციის მინიჭებას

<sup>52</sup> თანხების დაანგარიშებისას გაოვალისწინებულია პროფრამის ხანგრძლივობა, სტუდენტის სწავლის პერიოდი და სასწავლებელში ჩარიცხული თანხა. მაგალითად, თუ პროფრამის სასწავლის პერიოდი 3 თვე, ხოლო სტუდენტი სასწავლებლიდან გაირიცხა 3 თვის შემდეგ, 5 თვის თანხა უნდა ჩაითვალოს არამიზნობრივ ხარჯად:  $1000 \cdot (1000/8 \times 3) = 625$  ლარი.

გულისხმობს. სწავლის შეწყვეტის შემდგომ პერიოდში გახარჯული თანხები კი (მთლიანობაში 866,515 ლარი) - არამიზნობრივად, რადგანაც არსებული განონმდებლობის თანახსად, ვაუჩერი განკუთხვილა კონკრეტული სტუდენტის სწავლის დასაფინანსებლად<sup>53</sup> შესაბამისად, როდესაც სტუდენტი სწავლას წყვეტის და მის კუთვნილ ვაუჩერს სასწავლებელი ბოლომდე ხარჯავს, ნიშნავს, რომ იგი არ ზრდიდება მიზანს - იმ კონკრეტული სტუდენტის სწავლის დაფინანსებას. რომლისთვისაც იყო განკუთვნილი აღნიშნული ვაუჩერი.

სასწავლებელთა და სამინისტროს განმარტებით აღნიშნული თანხები ხმარდებოდა ადმინისტრაციულ ხარჯებსა და ეროვნული კოლეჯების განვითარებას. სამინისტრომ, ასევე, განმარტა, რომ ზოგიერთი სასწავლებლისათვის გაცემული დაფინანსება არ იყო საკმარისი მათვის, აუცილებელი ზარჯების დასაფარად, რაც გულისხმობს იმას, რომ სტუდენტთა მხრიდან სწავლის შეწყვეტის ფაქტების წაკლებობის შემთხვევაში, სასწავლებლების ფუნქციონირებისა და სტუდენტთათვის მომსახურების გაწევის საკითხი კუთხით დადგეოდა.

აუდიტის ჯგუფშა ვერ დაადგინა, საკმარისი იყო თუ არა სასწავლებელთათვის თავდაპირებელად გაცემული დაფინანსება და სჭირდებოდათ თუ არა კოლეჯებს სტუდენტთა მხრიდან სწავლის შეწყვეტის შედეგად გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსები. თუმცა, აუდიტით გამოვლინდა ერთ-ერთი სასწავლებლის (სსიპ ახალი ტალღა) მხრიდან შესყიდვების შესრულების დროს სარისკო გარემოებები, კერძოდ, ელექტრონული პორტალი აფიქსირებს, რომ ხელშეკრულებები ფორმდება ისე, რომ არც შემსყიდველის ტექნიკურ დოკუმენტაციას და არც პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებას ნახეა არა აქვს. აღნიშნული გულისხმობს, რომ შემსყიდველი ხელშეკრულებას აფორმებს პრეტენდენტის წინადაღების ნახევის გარეშე, პრეტენდენტი ვი - შემსყიდველის ტექნიკური დოკუმენტაციის ნახევის გარეშე (სულ 10-ზე მეტი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა აღნიშნული სასწავლებლის შეირ განხორციელებულ შესყიდვებში). ასევე, გამოვლინდა სხვა ფაქტები, რომლებიც შემსყიდველისა და მიმწოდებლების ურთიერთვავშირზე მიგვანიშნებენ (საერთო საცხოვრებელი და იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი).<sup>54</sup>

მოცემული ანალიზი ცხადყოფს, რომ ვაუჩერების მართვისა და გამოყენების არაეფექტურიანობა სისტემამ გამოიწვია ვაუჩერებისათვის გათვალისწინებული თანხების პროფესიულ სასწავლებლებს შორის არასწორი გადახაწილება და მათი არარაციონალურად გახარჯვა.

ვაუჩერული დაფინანსების სისტემა ფუნქციონირებს საჯარო სკოლებში საშუალო განათლების დასაფინანსებლად. შესაბამისად ვაუჩერიზაციის პოლიტიკა და მისი მართვა სამინისტროსათვის სიახლეს არ წარმოადგენს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

<sup>53</sup> საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2007, მუხლი 4, ქვეუნპტი „ზ“.

<sup>54</sup> აღნიშნული ანალიზი ეფუძნება სახელმწიფო კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ანგარიშს

აუდიტის ანგარიშის<sup>55</sup> მიხედვით, საჯარო სკოლების ვაუჩერის სისტემაში უფრო მეტი კონტროლის სისტემა და მოქნილობაა (შესაძარებლად ვიყენებოთ ისეთ ასპექტებს, რომელიც რელიგიანტურია პროფესიული განათლების დაფინანსების სისტემისთვისაც, კერძოდ, ბაზების რეგულარული გადასცემება, ვაუჩერული თანხების ეტაპობრივად ჩარიცხვა და სხვ.), ვიდრე პროფესიული განათლების შემსხვევაში, რაც სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების შორის არასაკმარის კოორდინაციაზე მიუთიობს.

### 5.3 ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე გაწეული დაფინანსების არაპროდუქტიულობა

საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმა დაიწყო 2004 წლიდან და დღემდე გრძელდება. შესაბამისად, სამინისტრო პერიოდულად აახლებს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, სადაც პროფესიული განათლების სისტემის განვითარებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. სტრატეგიის თანასწარ, მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოს ყველა რეგიონში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მინიმუმ ერთი კოლეჯის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო სახელოსნოებით, საერთო საცხოვრებლითა, და მატერიალურ-ტექნიკური გაზიოთ.<sup>56</sup> 2015 წლისთვის ამავე სტრატეგიული გეგმისა გათვალისწინებულია ყველა საჯარო პროფესიული კოლეჯის სრული რეაბილიტაცია და აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.


სასწავლო დაწესებულებებში ინტრასტრუქტურის განვითარებაზე, სამინისტროს აპარატის გარდა, პასუხისმგებელია სააგენტო, რომელიც შედის სამინისტროს მმართველობის სფეროში და მის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს „სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და საშეცნიერო დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება/აღჭურვა“.<sup>57</sup>

2008-2012 წლებში განათლების სამინისტროსა და სააგენტოს მიერ სულ გასხვრულდა 39 პროფესიული კოლეჯის რეაბილიტაცია და გაიზარდა 18,034,723 ლარი. აქედან, პროცენტულად ყველაზე მეტი თანხა გახარჯულია შემდეგ პროფესიულ სასწავლებლებზე:

<sup>55</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს ზოგად-საგანმანათლებლო კვლეულების შესაბამისობის აუდიტი, 01.01.2009 – 01.01.2011.

<sup>56</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011-2015 წლების სტრატეგიული გეგმა, პროფესიული განვითარების სისტემის განვითარება, ვგ. 114.

<sup>57</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საგენტოს რეორგანიზაციისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, N225/ს, 30.12.2011;



დიაგრამა 5.3.1 განარჯული თანხის ოდენობა

საქართველოსა და საგენტოს არა აქცს შემუშავებული კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც უნდა მოსდეს დაფინანსება სასწავლებულთა ინფრასტრუქტურული განვითარებისათვის. სამოქმედო გეგმისი წინასწარ არ არის განსაზღვრული, თუ რომელ სასწავლებელს ესაჭიროება რეაბილიტაცია-აღჭურვა ან/და რომელ რეგიონში არის მისამერილი ახალი სასწავლებლის შექმნამობა. პროფესიულ საყაპუბათლებლო დაწესებულებათა მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ტექნიკური აღჭურვის თაობაზე ინიცირება და კრიტერიუმების განსაზღვრა ხდება პროფესიული სასწავლებლის ან სამინისტროს მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში. შემდგომში საგენტო განიხილავს მოწიდებულ ინფორმაციას და გადასცემს სამინისტროს განსახილველად. სამინისტრომი განხილვის შემდეგ აისახება სამოქმედო გეგმაში და მტკიცდება მიწისტრის ბრძანებით.

კამომდინარე იქიდას, რომ არ ხორციელდება კერძო და საჯარო სარელფასოვანი მინიტორინგი სტუდენტების ჩარიცხვასა და დასაქმებაზე, გაუტყალისწინებელი რჩება რიგი საკითხები, როგორებიცაა, მაგალითად, თუ რომელ რეგიონს ესაჭიროება მეტი განვითარება ზაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, როგორია მოთხოვნა რეგიონებისა და პროფესიის მიხედვით და ა.შ., რაც მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნებოდა კოლეჯების მიღწეულისა და არსებული მდგომარეობის შესაფასებლად და მასზე დაყრდნობით, მომავალი საჭიროებების განსაზღვრად.

შედეგად, პროფესიული სასწავლებლების გონივრულად და პროდუქტიულად დაფინანსება უსრუნველყოფილი არ არის. რის გამოც უინანსდებიან ის სასწავლებლები, სადაც სტუდენტთა მოთხოვნა და დასაქმების კოეფიციენტი ნაკლებია სხვა მსგავს სასწავლებლებთან შედარებით; ხოლო, ის სასწავლებლები რომლებიც მაჩვენებლებით უტოლდებიან ან უსწრებეს რეაბილიტირებულ კოლეჯებს ჯერ-ჯერობით რჩებიან ნაკლები ფინანსური რესურსით და განვითარების პერსპექტივით ზოგიერთი ასეთი სასწავლებელი ჩოლო 4-5 ათწლეულის მანძილზე საერთოდ არ გარემონტირებულა.

მაგალითად, პროფესიული კოლეჯი „შავი ზღვა“ (Black Sea) დაარსდა 1974 წელს და მას შემდეგ არ მომხდარა მისი რეაბილიტაცია (მისი რეაბილიტაცია 2014 წლის გეგმაშია გათვალისწინებული). ასევე, არ არის რეაბილიტირებული პროფესიული კოლეჯი „პრესტიუსი“, (შენობა 1970 წელს არის აშენებული და მას შემდეგ არ გარემონტებულა), გარდა ამისა, კოლეჯს არ გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ზაზა. შესაბამისად, სასწავლებელთათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობა არ არის უზრუნველყოფილი.

#### **5.4 კერძო სასწავლებლების დაფინანსების სისტემის წაკლოვანებები**

არსებული კანონმდებლობა იძლევა კერძო ავტორიზებულ სასწავლებელთა აკრედიტებულ პროგრამებზე მოსწავლე სტუდენტთა დაფინანსების შესაძლებლობას, თუმცა აღნიშნული არ ხორციელდება.

ცენტრისაგან მიღებული ინუორმაციიდან ირკვევა, რომ დღესდღეობით ქვეყანაში ფუნქციონირებს მრავალი ავტორიზებული პროფესიული სასწავლებელი, რომელთაგან მხოლოდ 4 ახორციელებს აკრედიტებულ პროგრამებს (სულ კერძო სასწავლებლები ახორციელებენ 12 აკრედიტირებულ პროგრამას).

კერძო სასწავლებელთა დაფინანსების სისტემა აპრობირებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მიმართებაში. სტუდენტის შეცდლია მოპოვებული სახელმწიფო გრანტით ისარგებლოს როგორც საჯარო, ისე კერძო სასწავლებელში სწავლისას. შედეგად სამინისტრო ახერხებს დაფინანსების სამართლიანად გადანაწილებას საჯარო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რაც მართებულია იქიდან გამომდინარე, რომ რიგი კერძო სასწავლებლები გარკვეულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საჯარო დაწესებულებებთან შედარებით ამზადებენ უფრო კვალიფიციურ და, შესაბამისად, უფრო მოთხოვნად კადრებს. ამასთანავე, ვაუზერული სისტემის ერთ-ერთი მთავარი იდეა არის არჩევანის თავისუფლება, გამოიყენოს მიღებული ვაუზერი ისეთ საჯარო თუ კერძო სასწავლებელში, რომელიც ქვეყნის მასშტაბით დადგენილ სტანდარტებს აკმაყოფილებს - არის ავტორიზებული და ახორციელებს აკრედიტებულ პროგრამებს. შედეგად, სტუდენტი უნდა ირჩევდეს იმ სასწავლებელის, სადაც თვლის, რომ კუთვნილი კაუზერით ყველაზე მეტ სარგებელს მიიღებს.<sup>28</sup> აღნიშნული პირდაპირ კავშირშია პროფესიული განახლების სისტემის მიზანთან - სახელმწიფოს ჰყავდეს რაც შეიძლება შეტი კვალიფიციური პროფესიული კადრი, განურჩევლად იმისა, თუ სად მიიღებს განათლებას სტუდენტი.

გარდა ამისა, EQAVET-ის თანახმად, პროფესიული განათლების სისტემის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორი არის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

<sup>28</sup> GIZ, დაუინანსება – მოღიგოვის კვლევა, 2010, გვ. 28.

ხელმისაწვდომობისა<sup>59</sup> და საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის კონკურენციის გაზრდა. კერძო სასწავლებლებისადმი არსებული შიდგომი კი აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ დამატრკულებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც უფრო მეტი სასწავლებლისათვის დაფინანსების შიდების შესაძლებლობის შიცემით, სტუდენტთათვის არჩევანის შესაძლებლობაც გაიზრდება გამოძდინარე იქიდან, რომ ისინი არ იქნებიან შეზღუდული ვაუჩერი მხოლოდ საჯარო კოლეჯში გამოიყენონ (შესაბამისად, იზრდება ხელმისაწვდომობა). ეს პოზიტიურად აისახება კონკურენციაზეც, რადგანაც სტუდენტთა მოზიდვის მიზნით სასწავლებლები უფრო მეტად იქნებიან ორიენტირებული ხარისხიანი მომსახურების შეთავაზებაზე.

ამასთანავე, როგორც ზუმრა აღინიშნა (იბ. 4.1. ჭრეთაცი), სასწავლებელთა ავტორიზაციასა და სასწავლო პროგრამათა აკრედიტაციას ახორციელებს სისპ ხარისხის მართვის ცენტრი, რომლის მიზანიც არის აღნიშნულ სასწავლებულთა და პროგრამათა შესაბამისობის უზრუნველყოფა დაწესებულ სტანდარტებთან. შესწავლამ აჩვენა, რომ რიგი ნაკლოვანებების მიუხედავად, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სისტემა მირეულ საკითხებში თავსებადია საერთაშორისო სტანდარტებთან და კოპენჯიგენის პროცესთან. შესაბამისად, თუ აღნიშნული ნაკლოვანებები სრულად აღმოიფხვრება და სისტემა დაიხვეწება, მცირე იქნება დაფინანსების გაცემის რისკი ისევ სასწავლებლებზე, სადაც სწავლების ხარისხი საჯარო პროფესიულ კოლეჯებთან შედარებით დაბალია.

შესაბამისად, არსებული კანონმდებლობის, პრაქტიკისა და EQAVET-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, გაუმართლებელია ავტორიზებულ კერძო პროფესიულ სასწავლებლებს შეეზღუდოთ უფლება, დაფინანსება მითიღონ სახელმწიფოსაგან მათ შეირ აკრედიტებული პროგრამების განხორციელების შემთხვევაში. პიროვნებას, რომელსაც არა აქვს სწავლის საკუთარი სახსრებით დაფინანსების საშუალება, ეზღუდება მას შესაძლებლობა ისწავლოს იმ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემთხვევაში მას შეიძლება უკეთესი კვალიფიკაციის მიღებისა და დასაქმების მეტი პერსპექტივა ჰქონდეს. ამასთანავე, კერძო სასწავლებელთა დაფინანსება გამოიწვევს კონკურენციის ზრდას, ისევე, როგორც ეს მოხდა უმაღლეს სასწავლებულთა მიმართებაში. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული უნდა განხორციელდეს კონსტრუქციულად და სასტრუქტურად მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების სრულყოფა, პროფესიული განათლების დაფინანსების ზრდა და სამინისტროს მხრიდან სახელმწიფო რესურსების ხარჯების მონიტორინგის გაუმჯობესება.

<sup>59</sup> European Quality Assurance in Vocational Education and Training, Indicators; <http://www.eqavet.eu/gns/policy-context/european-quality-assurance-reference-framework/indicators.aspx#main>

## 5.5 დასკვნა და რეკომენდაციები

პროფესიული განათლების დაფინანსების სისტემის სხვადასხვა ასპექტის ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშ्चლი სისტემა ვერ უზრუნველყოფს ფინანსური საბარების ოპტიმალურ და რაციონალურ გამოყენებას: სახელმწიფო თანხები სასწავლებლებს შორის ნაწილდება არაოპტიმალურად და არასამართლიანად; სასწავლებლებისათვის გამოყოფილი დაფინანსება არ შეესაბამება მათ საჭიროებებს; მნიშვნელოვანი ოდენობის თანხები იხარჯება არაეფექტურად/უმიზნოდ; სასწავლებელთა ინფრასტრუქტურული განვითარება მიმდინარეობს ეკონომიკურობისა და პროდუქტიულობის ასპექტების გაუთვალისწინებულად. ეს ყოველივე განაპირობებს პროფესიული განათლების დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრების არარაციონალურ და არაოპტიმალურ ხარჯებას, რაც, თავის მხრივ, აფერხებს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების ვანხორციელებას.

### რეკომენდაციები:

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მიმართულებით სამინისტროს მუშაობა უკვე დაწყებული აქვს და ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებში გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიება უკვე ხორციელდება.

- სამინისტრომ შეიმუშაოს მეთოდოლოგია და კრიტერიუმები (მაგალითად, სტუდენტთა კონტინგენტი, სასწავლებლის პროფილი, მასწავლებელთა რაოდენობა და ა.შ.) რომელთა საფუძველზეც მოხდება ადმინისტრაციული ხარჯისათვის გათვალისწინებული დაფინანსების ოცენობის განსაზღვრა. აღნიშნული ხელს შეუწყობს დაფინანსების სამართლიანად გადაწარილებისა და პროფესიული სასწავლებლების თანაბრად განვითარების შესაძლებლობას.
- სამინისტრომ უნდა გააუმჯობესოს ვაუზერული დაფინანსების სისტემა. უნდა შესუძლივდეს და დაინერგოს პროცედურები, რომლის საშუალებით სათანადოდ იქნება შესწავლილი და დაანგარიშებული ვაუზერის ოდენობა ყველა რელევანტური ასპექტის გათვალისწინებით - პროგრამის ხანგრძლივობა, ტიპი, შინაარსი, სტუდენტთა რაოდენობა, პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები. ვაუზერი უნდა ასახავდეს და შეესაბამებოდეს სერვისების (სწავლების) დიფერენცირებულ ასპექტებს, რაც უზრუნველყოფს სასწავლებელთა თანასწორ და სამართლიან დაფინანსებას. დაანგარიშების პროცესში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დაინტერესებული მსარებელის ჩარჩულობა.
- სამინისტრომ უნდა ჩამოაყალიბოს ვაუზერის მართვის სისტემა, რომელიც გაითვალისწინებს მის რაციონალურ დაწარილების სასწავლო პროცესის ეტაპების მიხედვით, მეტი კონტროლის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულისათვის აუცილებელია სტუდენტთა შესახებ სრულყოფილი და გამართული მონაცემთა ბაზის არსებობა და მისი მუდმივი მომიტორინგი. ვაუზერის მართვის სისტემა, ასევე, უნდა განსაზღვრავდეს ვაუზერის გაუხარჯავი ნაწილით სარგებლობის წესს და სხვა

დეტალებს, რომლებიც არსებითაა ეკონომიკურობისა და პროდუქტიულობის თვალსაზრისით.

- მიზანშეწონილია, რომ სამინისტრომ, ასევე სააგენტოშ გასსაზღვროს იხდივატორები და კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე დადგინდება სარეაბილიტაციო კოლეჯები და მათი საჭიროებები. კრიტერიუმები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და ორიენტირებული თავად სასწავლებლის მართვის ეფექტურობაზე, მათი მიღწევების, რეგიონის, გარემოსა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რათა ინფრასტრუქტურული განვითარება სასწავლებლებისათვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი.
- კერძო სასწავლებელთა დაფინანსების თაობაზე შემუშავდეს პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროფესიულ სასწავლებლებზე გაცემული დაფინანსების პროცესების ზრდას. ამისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს ზოგადი და უმაღლესი განათლების სფეროში აპრობირებული მეთოდები/სისტემა და საერთაშორისო პრაქტიკა.

## 6. შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები

უკანასკნელ პერიოდში გატარებული რეფორმებით მნიშვნელოვანი ცვლილებები გამზორდიელდა პროფესიული განათლების სფეროში. სამინისტროს მიერ შესუბავებული სტრატეგიული გეგმები, განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და მსალიანად აღნიშნულ სექტორზე გახარჯული თანხები ადასტურებს, რომ სახელმწიფოსათვის ეს სფერო პრიორიტეტულია და ცდილობს მის მუდმივ გარდაქმნასა და განვითარებას.

თუმცა, აღნიშნული პროცესი გარკვეულწილად უსისტემოდ და ხარვეზებით მიმდინარეობს, რაც პირველ რიგში გამოიხატება იმაში, რომ მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები არ შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. ნაკლოვანებებია სასწავლო პროცესის მართვის კუთხითაც, კურსოდ; ხარვეზებია ანგარიშების სისტემაში, დასახვერია კრედიტების სისტემა, მასწავლებელთა გადამსადება არ არის ორიენტირებული პროფესიული უნარების განვითარებაზე, არ არის მჭიდრო თანამშრომლობა კურსო სექტორთან და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სისტემა არ არის გამართული. ამასთანავე, გუმართავია დაფინანსების სისტემა, რაც გამოიხატება სასწავლულებებს შორის თანხების არაპრიმალურად გადანაწილებაში, სახსრების არაეფექტურად და არარაციონალურად გახარჯვასა და ინფრასტრუქტურული განვითარებისათვის გახარჯული თანხების არაპროდუქტულობაში.

### რეკომენდაციები:

საქართველოს მთავრობას, საქართველოს განათლებისა და შეცნიერების სამინისტროს,  
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოფიალური დაცვის სამინისტროს:

→ უზრუნველყოფილ იქნება განათლებისა და შეცნიერების სამინისტროს 2013-2020 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, რაც ითვალისწინებს შრომის ბაზრის კვლევის სისტემების დანერგვას, მის შემდგომ განვითარებასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

საქართველოს განათლებისა და შეცნიერების სამინისტროს:

→ ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე გაუმჯობესდეს პროფესიული განათლების სასწავლო პროგრამების პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესი, შემუშავდეს და დასწერებულის შესაბამისი პროცედურები, რათა უზრუნველყოფილ იქნება პრიორიტეტების მისადაგება რეგიონში არსებულ სპეციფიკურ მოთხოვნებთან. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესებისა და მოთხოვნების შესწავლის, განხილვისა და გათვალისწინების შესაძლებლობებს. ამ მიზნით, სამინისტრომ ხელი უნდა შეუწყოს

- პროფესიულ სასწავლებლებსა და კერძო სექტორს (დამსაქმებლები) შორის კოორდინაციასა და თანამშრომლობას.
- სასწავლო პრიორიტეტების განსაზღვრასთან ერთად, დასახვეწია დასაფინანსებელ სტუდენტთა ზღვრული ოდენობების განსაზღვრის წესები და პროცედურები. აღნიშნული უნდა მოიცავდეს, როგორც მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრას, ასევე სასწავლებლების ადამიანური რესურსების ინფრასტრუქტურული გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასებას, მათი ურთიერთშესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- მიზანშეწონილია, რომ სამინისტროსა და სააგენტოს მიერ შემუშავდეს სასწავლებელთა შეფასების მეთოდოლოგია და ინდიკატორები. რომლის მიხედვითაც რეგულარულად მოხდება ნაკლიკანუბების გამოელენა და დაისახება სტრატეგიაში მათი გამოსწორების გზები; შეფასების პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს კერძო სექტორის ჩართულობა; შემუშავდეს ზედამხედველობის სხვა დამატებითი შექანიშები.
- საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითზე, სამინისტროს ხელშეწყობით ცენტრის მიერ სასურველია შეიქმნას კურიკულურებისა და კრედიტების უზიფიცირებული სისტემა, რომელიც თავსებადი იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან. მიზანშეწონილია, კურიკულურები იყოს უფრო ყოვლისმომცველი, სადაც ნაოლად და დეტალურად იქნება განმარტებული პროგრამის შედეგად მიღებული კუალიფიკაცია და უნიარ-ჩვევები.
- სასურველია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება წარიმართოს სისტემურად, რაც გულისხმობს ტრენინგების ორიენტირებას პროფესიულ უნარ-ჩვევებსა და მათი საწარმოებში (დამსაქმებლებთან) ჩატარების შესაძლებლობას.
- მიზანშეწონილია, შესრულდეს ახლად შექმნილი კომუნიკაციის სტრატეგიით („დაინტერესებული მხარეების ცხობიერების ამაღლების სტრატეგია პროფესიული განათლების სექტორში“) გათვალისწინებული ყველა პუნქტი და განხორციელდეს სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რათა მოხდეს ბიზნესის წარმომადგენლების დაინტერესება, ჩატარონ პროფესიული განათლების პროცესში. ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს დამსაქმებლების ფუნქციები; მათი ჩართულობა სისტემაში უნდა იყოს გამარტივებული ადმინისტრაციული ოფალსაზრისისა; სათლად უნდა განიმარტოს, თუ რა სარგებლის შიდება შეიძლება სოციალური პარტნიორობით. ასევე, სასურველია მოხდეს მათი ჩართვა სტაუირებაში (პროფესიული კურსების დროს პრაქტიკული მეცადინებებით) და საბაზო კვლევებში. მათ შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი მოთხოვნა დასასაქმებლებთან დაკავშირებით (დანტერესების გამოხატვა ლია კარის დღეებზე, ვაკანსიის კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსება და ა.შ.). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს კერძო სექტორის ჩართვა სტანდარტების შემუშავების პროცესში.
- მიზანშეწონილია, შეიქმნას მონაცემთა ერთიანი ბაზა და ამოქმედდეს სრულფასოვნად მისი ყველა პუნქტი, რაც მომავალში მონიტორინგის განხორციელების საშუალებას იძლევა. ასევე, სასურველია გათვალისწინებულ იქნეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა საინფორმაციო ცენტრების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და მათი

რაციონალურად ფუნქციონირების შემთხვევაში, ქვეყანაში არსებული განათლების სისტემის გათვალისწინებით მოხდეს მისი დანერგვა.

- სამინისტრომ შეიძლება მეთოდოლოგია და კრიტერიუმები (მაგალითად, სტუდენტთა კონტინგენტი, სასწავლებლის პროცესი, მასწავლებლთა რაოდენობა და ა.შ.), რომელთა საფუძველზეც მოხდება ადმინისტრაციული ხარჯისათვის გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა. აღნიშნული ხელს შეუწყობს დაფინანსების სამართლიანად გადამაწიდებასა და პროფესიული სასწავლებლების თანაბრად განვითარების შესაძლებლობას.
- სამინისტრომ უნდა გააუმჯობესოს ვაუჩერული დაფინანსების სისტემა. უნდა შემუშავდეს და დაინერგოს პროცედურები, რომლის საშუალებით სათანადო იქნება შესწავლილი და დააწვარიშებული ეაუჩერის ოდენობა ყველა რელუუპანტური ასპექტის გათვალისწინებით - პროგრამის ხანგრძლივობა, ტიპი, მინაპრი, სტუდენტთა რაოდენობა, პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები. ვაუჩერის ოდენობა უნდა ასახავდეს და შეესაბამებოდეს სერვისების (სწავლების) დიფერენცირებულ ასპექტებს, რაც უზრუნველყოფის პროფესიული სასწავლებლების თანასწორ და სამართლიანად დაფინანსებას. ვაუჩერის დააწვარიშების პროცესში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.
- სამინისტრომ უნდა ჩამოაყალიბოს ვაუჩერის მართვის სისტემა, რომელთვიც გაითვალისწინებს მის რაციონალურ დამაწიდებას სასწავლო პროცესის ეტაპების მიხედვით, მეტი კონტროლის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულისათვის აუცილებელია სტუდენტთა შესახებ სრულყოფილი და გამართული მონაცემთა ბაზის არსებობა და მისი მუდმივი მონიტორინგი. ვაუჩერის მართვის სისტემა, ასევე, უნდა განსაზღვრავდეს ვაუჩერის გაუსარჯავი ნაწილით სარგებლობის წესს და სხვა დეტალებს, რომლებიც არსებითია კონომიურობისა და პროდუქტიულობის თვალსაზრისით.
- მიზანშეწონილია, რომ სამინისტროში, კერძოდ სააგენტომ განსაზღვროს ინდიკატორები და კრიტერიუმები, რომელთა საყუსტელზე დადგინდება სარეაბილიტაციო კოლეჯები და შათი საჭიროებები. კრიტერიუმები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და ორიენტირებული თავად სასწავლებლის მართვის ეფექტურობაზე მათი მიღწევების, რეგიონის, გარემოსა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რათა ინფრასტრუქტურული განვითარება სასწავლებლებისათვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი.
- კერძო სასწავლებელთა დაფინანსების თაობაზე შემუშავდეს პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს პროფესიული სასწავლებლებისთვის გაცემულ დაფინანსების კონდუქტიულობას, კონკურენციის ამაღლებასა და ხელმისაწვდომობის ზრდას. ამისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქართველოს ზოგად და უმაღლესი განათლების სფეროში აპრობირებული მეთოდები/სისტემა და საერთაშორისო პრაქტიკა.

## ბიბლიოგრაფია

### გამოყენებული წორმატიული მასალა

საქართველოს მინისტრის კოდექსი, 2010;

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, 2007;

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004;

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005;

საქართველოს მთავრობის დადგენილება პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პიორიზების კანსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე, N244, 19.09.2013;

საქართველოს მთავრობის დადგენილება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველ საშ საფეხურზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების წესის განსაზღვრის შესახებ, N96, 15.03.2012;

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების თაობაზე, N99/5, 01.10.2010;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს რეორგანიზაციისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ, N225/5, 30.12.2011;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალისა და საუხეურების თაობაზე, რომელთა დაფინანსება განხორციელდება ვაუჩერით განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის N96 დადგენილების პირველის მუხლის მქ 3 პუნქტის საფუძველზე, N287, 20.03.2012;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლოს დაწესებულებების მიერ 2012 წლის ზაფხულში გამოცხადებული მიღებისას გაუჩერით დასაყინანსებელი პრიორიტეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალისა და საფეხურების განსაზღვრის შესახებ, N638, 08.06.2012;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 2012 წლის საშემოდგომო მიღებისას პროფესიული განათლების პირველი, მეორე და მესამე საფეხურის პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე, N985, 05.09.2012;

#### საერთაშორისო კონვენციები:

კოპენჰაგენის დეკლარაცია; 2002, [http://ec.europa.eu/education/pdf/doc125\\_en.pdf](http://ec.europa.eu/education/pdf/doc125_en.pdf)

The Bruges Communiqué on enhanced European Cooperation in Vocational Education and Training for the period 2011-2020; Bruges 2010, [http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-policy/doc/vocational/bruges\\_en.pdf](http://ec.europa.eu/education/lifelong-learning-policy/doc/vocational/bruges_en.pdf)

#### კვლევები:

AEAG, dvv international, პროფესიული განათლება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები; 2006. <http://www.aeag.org.ge/data/file/138/VET%20Study%20ge.pdf>

GiZ, პროფესიული განათლების შესაბამისობა შრობის ბაზრის მოთხოვნებთან საქართველოში; 2010.

[http://www.mes.gov.ge/uploads/Matching%20VET%20in%20Georgia%20with%20the%20Labour%20Market%20Needs\\_June%202010\\_GIZ%20PSDP%20Geo.pdf](http://www.mes.gov.ge/uploads/Matching%20VET%20in%20Georgia%20with%20the%20Labour%20Market%20Needs_June%202010_GIZ%20PSDP%20Geo.pdf)

GiZ, დაფინანსება – პოლიტიკის კვლევა; 2010.

[http://www.mes.gov.ge/uploads/Financing\\_Policy%20Report\\_June%202010\\_GIZ%20PSDP%20Geo.pdf](http://www.mes.gov.ge/uploads/Financing_Policy%20Report_June%202010_GIZ%20PSDP%20Geo.pdf)

European Training Foundation, *Strategy for Reform of Vocational Education and Training (2009-2012), Report on Main Outputs and Outstanding Challenges, Georgia*, 2012.

[http://www.mes.gov.ge/uploads/Georgia\\_VET%20stratcgry\\_report%20ETF\\_FINAL%2021112012\\_clean.doc](http://www.mes.gov.ge/uploads/Georgia_VET%20stratcgry_report%20ETF_FINAL%2021112012_clean.doc)

European Centre for the Development of Vocational Training, *On the Way to 2020: Data for Vocational Education and Training Policies*, Research Paper 31; 2013.

[http://www.cedefop.europa.eu/EN/Files/5531\\_en.pdf](http://www.cedefop.europa.eu/EN/Files/5531_en.pdf)

IOM (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ჩატარებული კვლევა), საქართველოს ეროვნული შრობის ბაზრი; 2010.

[http://www.mes.gov.ge/uploads/LMS\\_2010\\_Geo.pdf](http://www.mes.gov.ge/uploads/LMS_2010_Geo.pdf)

LiQian, Gao Yinan, *Employment Rate of Vocational Graduates up Slightly: Report*, 2013

<http://english.people.com.cn/203691/8328853.html>

### **სხვა წყაროები:**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, პროფესიული სტანდარტები, [http://eqe.ge/geo/education/professional\\_education/occupational\\_standards\\_list](http://eqe.ge/geo/education/professional_education/occupational_standards_list)

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, კოსენცეგენის პროცესი, [http://eqe.ge/geo/education/professional\\_education/copenhagen\\_process?info=12](http://eqe.ge/geo/education/professional_education/copenhagen_process?info=12)

გერმანიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს ინიციატივა: კომპეტენციები და საერთაშორისო თანამშრომლობა პროფესიული განათლების დარგში, [http://www.imove-germany.de/cps/rde/xchg/imove\\_projekt\\_international/hs.xls/search\\_providers.htm](http://www.imove-germany.de/cps/rde/xchg/imove_projekt_international/hs.xls/search_providers.htm)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს ზოგად-საგანმანათლებლო ცენტრის  
შესაბამისობის აუდიტი, 01.01.2009 – 01.01.2011;

European Parliament and Council, *Recommendations on the Establishment of a European Quality Assurance Reference Framework for Vocational Education and Training*, 2009. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:155:0001:0010:EN:PDF>

Finish National Board of Education, *Requirements for Vocational Qualifications: Vocational Qualification in Business and Administration 2009*,  
[http://www.oph.fi/download/140411\\_vocational\\_qualification\\_in\\_business\\_and\\_administration\\_2009.pdf](http://www.oph.fi/download/140411_vocational_qualification_in_business_and_administration_2009.pdf)

Finish National Board of Education; *Requirements for Vocational Qualifications: Vocational Qualification in Hairdressing, Hairdresser 2009*,  
[http://www.oph.fi/download/140419\\_vocational\\_qualification\\_in\\_hairdressing\\_2009.pdf](http://www.oph.fi/download/140419_vocational_qualification_in_hairdressing_2009.pdf)

Finish National Board of Education, *Quality Management in Finland*,  
[http://www.oph.fi/english/sources\\_of\\_information/projects/quality\\_in\\_vet\\_schools/about\\_quality\\_management/qm\\_in\\_finland](http://www.oph.fi/english/sources_of_information/projects/quality_in_vet_schools/about_quality_management/qm_in_finland)

Recommendation of the European Parliament and of the Council on the Establishment of a European Credit System for Vocational Education and Training (ECVET); 2009. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2009:155:0011:0018:EN:PDF>

### **ვებ-გვერდები:**

ავსტრალიის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროგრამების  
მოსამართებელი ვებ-გვერდი, <http://training.gov.au/>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი, <http://geostat.ge/>  
ფინეთის განათლების ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი,  
[http://www.oph.fi/english/sources\\_of\\_information/core\\_curricula\\_and\\_qualification\\_requirements/vocational\\_education\\_and\\_training](http://www.oph.fi/english/sources_of_information/core_curricula_and_qualification_requirements/vocational_education_and_training)